საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შე

სამშაბათი, 2 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი
ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible]
ზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე—
3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის ქ. № 21.
ტელეფონი 16—62.

№ 275

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 274

ღრმად დამწუხრებულნი: სიმამრი მოსე, სიდედრი პასიკო და ცოლის ძმა ისმაილ მეუღლითურთ ლუბათი თევზაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი სიძის კიევის კომერციულ ინსტიტუტის კურს დამთავრებულის

გიორგი გოგიტაძის

უდროოდ დაკარგვას. გარდაიცვალა ა. წ. 26 ნოემბერს ქ. ქუთაისში.
(3125—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა ერმილე, დედა ელისაბედ, ძმები: გიორგი და კოტრათი, და ვალენტინა, ბიძა კონსტანტინე, დეიდა პოლინე, დეიდაშვილები: პარმენ და ნადეჟდა ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს ძვირფასი და საყვარელი

ეპიფანე ერმილეს ძე ჯიბლაძის

ტრაღიკულათ დაკარგვას. გამოსვენება სამტრედიიდან სოფ. ჯაპანაში. დაკრძალვა 4 დეკემბერს წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (3148—1—1)

კიწიის უმაღლესი დაწყებით სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს ნათესავებს—ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ამხანაგი მასწავლებელი

ვასილი სესის ძე ჯანაშია

დაკრძალვა 2 დეკემბერს, დღით სამშაბათს, სოფელ თამაკონის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. (ფ. 1—1)

კიწიის მასწ. კავშ. ფილიალური განყოფილების გამგეობა მწუხარებით აუწყებს ფილიალის წევრ მასწავლებლებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხან მოკლე ავათმყოფების შემდეგ გარდაიცვალა ფილიალურ გამგეობის თავმჯდომარე მასწავლებელი

ვასილ სესის ძე ჯანაშია

დასაფლავება დანიშნულია ორს დეკემბერს, დღით სამშაბათს, სოფელ თამაკონის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. (ფ. 1—1)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

პალატის კომიტეტი აცხადებს, რომ ნოემბრიდან გაიხსნა პალატის ბინაზე, ეროვნულ საბჭოს ქუჩაზე № 11, (ფრეილინის ქ. 11, ტელ. 9—18). საკონსულტაციო და სავაჭრო განყოფილებანი საქართველოს ვაჭარ-მრეწველთათვის, სადაც განსაზღვრულ საათებში ყველა ვაჭარ-მრეწველს, განურჩევლად ეროვნებისა, შეუძლიანთ მიმართონ რჩევისათვის და ცნობების მისაღებად.

იურიდიული განყოფილება. ვაჭარ-მრეწველნი ძიიღებენ ნაფიც ვექილისაგან სრულიად უფასოდ რჩევას ყოველგვარი სამოქალაქო საქმეების შესახებ, რომლებსაც ექნებათ დამოკიდებულება ვაჭრობა მრეწველობასთან, დაუწერენ თხოვნას, საჩივარს, განცხადებას და სხ. წარსადგენად სასამართლოებში და სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში. განყოფილება ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა 11—2 ს.

სატეხნიკო განყოფილება. სატეხნიკო განყოფილებაში მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ რჩევა და ცნობები სრულიად უფასოდ როგორც შესახებ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნისა, აგრეთვე არსებულის გაუმჯობესობისა, მანქანებისა, მასალისა; განყოფილება შეადგენს მოკლე გეგმებს ქარხნებისა და ფაბრიკებისას. დაახლოვებით ხარჯთ-აღრიცხვას და სხ.

რთული კითხვები განხილულ იქნება ტეხნიკთა საბჭოში, რომლის აზრი შემკითხველს მიეცემა წერილობით. ბიურო კისრულობს საზღვარ-გარეთ მყოფ (ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში) პალატის წარმომადგენელთა საშუალებით მსურველისათვის დაიბაროს ყოველგვარი საჭირო ცნობები საქართველოში არსებული ანუ განზრახული მრეწველობისათვის.

ამგვარივე ცნობების მიღება შეიძლება სასოფლო სამეურნეო მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის.

სავაჭრო განყოფილება კისრულობს დავალებას ევროპიდან დაიბაროს საქონელი, ფასები, ნიმუშები, ცნობები, აგრეთვე მოძებნოს ევროპაში საქართველოს ნაწარმოებისათვის საუკეთესო ბაზრები, დაეხმაროს ვაჭარ მრეწველთ მიწერ-მოწერაში (რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე).

თფილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით მიმართონ სამივე განყოფილებას სავაჭრო-სამრეწველო პალატის სახელზე.

პალატას შეუძლიან მისცეს მსურველთ აგრეთვე აგრონომიული რჩევა-დარიგება 10—2 საათამდის. (3116—3—3)

ანტანტის ახალი პოლიტიკა

ლოიდ ჯორჯის სიტყვა რუსეთის შესახებ, ფრანგულ „ტანისა“ და ინგლისურ „ტაიმსის“ წერილები ამავე საგანზე, ამ უკანასკნელი დღეების ფრიად დიდ მნიშვნელოვანი ამბებია საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში; ის ამბები, რომელთაც უეჭველია დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაზეაც.

ყველასათვის და მათ შორის ანტანტისათვის ერთი რამ უდავო იყო—სანამ რუსეთის საკითხი არ გადიჭრება, სანამ ვეებერთელა რუსეთი არ ჩადგება სამოქალაქო ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში, მანამდე მსოფლიო ზავისა და მშვიდობის დამყარება უნიადაგო ოცნებაა. ეს იცოდა ყველამ. აქედან იყო მიმართული ანტანტის მოქმედებაც. მხოლოდ რყევასა და ეჭვს იწვევდა ის გარემოება, თუ რა საშუალებით უნდა დაემშვიდებიათ უკიდო რუსეთის ოკეანე.

საერთოთ ანტანტა, ასე ვთქვათ, დენიკინ კოლჩაკის ორიენტაციას ადგა. ამ ღენერალ ადმირალის საშუალებით ისინი ფიქრობდენ რუსეთის აღდგენას. თუმცა სრული იმედი ამ მხრით მათ არას დროს არ ჰქონდათ. ამერიკა, ინგლისი, იტალია დიდ რყევას განიცდიდა ამ საკითხში. ისინი ცდილობდენ შედარებით ელასტიური პოლიტიკა ეწარმოებინათ, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, ის ამ კითხვაში ყველაზე უფრო ტლანქი და მემარჯვენე ხაზის მომხრე იყო. მისი სარუსეთო პოლიტიკის გეზი ამდენ ხანს მეტად სადა და მოუხეშავი იყო—რუსეთის რეაქციონური ძალების მიერ აღდგენა და არავითარი კომპრომისი ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებთან, გარდა პოლონეთისა, ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ცდა დამოუკიდებლობის შესახებ მხოლოდ გაბრაზებასა და ძარღვების აშლას იწვევდა საფრანგეთის მმართველ წრეებში. ასე იყო ამდენხანს, მაგრამ ცხოვრება და სინამდვილე, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იკაფავს გზას.

დენიკინის ორიენტაცია თანდათან სუსტდება. გაზ. „ტანი“ ერთიერთ ინგლისურ დოკუმენტიდან მოყავს შემდეგი ცნობა: „გადაწყვეტილია, რომ გენ. დენიკინს გაეგზავნოს **უკანასკნელი დახმარება** (ხაზი ჩვენია) სურსათისა და სხვა საშუალებათა სახით დაახლოებით 15 მილ. გირვანქა სტერლინგის, აქედან 13 მილ. იქნება ის მონარჩენი საქონელი, რომელიც ჩვენთვის საჭირო ღირებულებას არ წარმოადგენს“. ამგვარათ ინგლისი ასაღებს დენიკინზე ომის უკანასკნელ ნაშთებს. ლოიდ ჯორჯი ფიქრობს და ამბობს, რომ ყოფილ რუსეთში წარმოშობილ ახალ სახელმწიფოებს მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრას ევროპა. იტალია ამ მხრით კიდევ უფრო ადრე აპირებდა სარუსეთო პოლიტიკის გასწორებას. ხოლო დღეს ჩვენ იმის უტყუარი საბუთი გვაქვს, რომ ამ საქმეში სწორდება ყველაზე გაუსწორებელი საფრანგეთის პოლიტიკაც.

საფრანგეთის საგარეო სამინისტროს ორგანო „ტანი“ სულ ახალ კილოზე ალაპარაკდა. 6 ნოემბრის ნომერში ეს გაზეთი არკვევს რუსეთის მდგომარეობას და ბოლოს გულახდილათ ამბობს: „უნდა ვაღვიაროთ, რომ სარუსეთო კამპანიას 1919 წელში ერთი ძირითადი ნაკლი ჰქონდა“. ეს კამპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებდა, რომ რუსეთის პატრიოტები შეუთანხმდებოდენ მეზობლებსა და იმ განაპირა სახელმწიფოებს, რომელნიც ყოფილ რუსეთში წარმოიშვენო. ხოლო ასეთი შეთანხმება კი მოკავშირეთა მონაწილეობითა და გარანტიით უნდა მომხდარიყოვო, განაგრძობს გაზეთი და თან დასძენს „დროა საერთო ინტერესებისათვის ახალი სისტემა იქნას ნაწარმოები. გამარჯვებისთვის პირველ ყოვლისა საჭირო ერთობა“.

როგორც ეტყობა, საფრანგეთის მმართველ წრეებში დარწმუნდენ, რომ მეფის გენერლები და მოხელეთა ადმირალები რუსეთის საკითხს ვერ გადასჭრიან, რომ აუცილებლათ ანგარიში უნდა გაეწიოს ახლად აღორძინებულ სახელმწიფოებს. როგორც ეტყობა, ეს წრეები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია და მიზან შეწონილი დობროვოლიის და ახალ განაპირა რესპუბლიკათა პოლიტიკური ან სამხედრო კავშირი და მოსკოვზე გალაშქრება. სხვადასხვა ახალ სახელმწიფოთათვის ეს კითხვა შეიძლება სხვანაირათ გადაწყდეს. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მისთვის ამ საქმეში დიდი საყოყმანო და სადავო არაფერია. საქართველოს დემოკრატიას არც ეროვნულათ, არც ეკონომიურათ, გეოგრაფიულათ და არც ისტორიულათ არ აქვს რუსეთთან ისეთი ორგანიული კავშირი, რომ მან უთუოდ უნდა რუსეთის საქმეების მოგვარებაში იარაღით მონაწილეობა მიიღოს. იმავე დროს ის ვერც სხვისი განზრახვების ამსრულებელი იარაღი გახდება. რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც გამარჯვება ადვილია, მაგრამ რამდენ მეტს გაიმარჯვებ, იმდენ მეტს ჩაიფლებითო, ასე სთქვა თვით ლოიდ ჯორჯმა. ეს ჩვენც კარგათ უნდა ვიცოდეთ. რუსეთის საქმეებში ჩვენის მხრით აქტიურათ ჩარევა, ეს დიდი მეტიჩრობა იქნებოდა. კიდევ მეტი. ეს მიუტევებელი ისტორიული დანაშაული იქნებოდა ერის წინაშე.

ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი ყინული ლხვება. ბოლოს და ბოლოს საფრანგეთის პოლიტიკაც იცვლება ახალ სახელმწიფოთა მიმართ. კარგი ნიშნებია. ჩვენი რესპუბლიკის მესვეურნიც ამ გარემოებას შესაფერ ანგარიშს გაუწევენ.

ყუბანის რადა და დენიკინი

როდესაც კავკასიის ფრონტიდან დაიძრა მობოლშევიკო ჯარები, ყუბანის ოლქში მოკალათებული იყო კონსერვატიული მთავრობა გენერალ კალედინის მეთაურობით. ადგილობრივ დემოკრატიულ ძალებს ბ-ნ ბიჩის მეთაურობით ჰქონდათ გავლენა მართვა გამგეობაში. მაგრამ ეს გავლენა მეტად სუსტი იყო. ბალშევიკებმა დაიჭირეს ყუბანის ოლქის ნაწილი, მაგრამ არ ყოფილა ერთი დღეც, რომ მთელი მხარე მათ მართვა გამგეობის ქვეშ ყოფილიყოს. ყუბანელ ბალშევიზმს, სხვათა შორის, ერთი რამ ახასიათებდა. ისინი მოითხოვდენ, რომ მთავრობა კომუნისტური ადგილობრივი ელემენტებიდან შემდგარიყო. „მოსული ხალხი ჩვენ არ გვინდაო“, ამბობდენ „ბალშევიკ“ ყუბანელები. ეს ნიშნავდა შემდეგს: ბალშევიზმი დროშა იყოს გლეხებისთვის კონსერვატიულ ელემენტების დასამარცხებლად. ხოლო მის ინტერნაციონალურ მიმართულებას და კომუნისტურ პრაქტიკას ყუბანის ყაზახობის მშრომელი ნაწილი არ ეგუებოდა.

როდესაც გერმანელებმა დაიპყრო უკრაინა და დონის ოლქი თავის გავლენის ქვეშ მოიქცია, ყუბანში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან თავი მოიყარა ორი მიმართულების ხალხმა. ერთის მხრივ კონტრ რევოლიუციონერები გენერალ დენიკინის, შკურას, პოკროვსკის და სხვათა მეთაურობით. მეორე მხრივ რუსეთის ინტელიგენციის დემოკრატიული ნაწილი. კონტრ-რევოლიუციონერები, როგორც საქმის ხალხი, ჯარის მოგროვებას შეუდგენ. ინტელიგენცია რუსეთის, როგორც მოლაპარაკე და პროექტების მოყვარული, თავს იყრის ქალაქთა და ერობათა კავშირის გარშემო. ის ეხმარება დენიკინს ჯარის შედგენაში და ფიქრობს იდეიური მუშაობით გავლენა მოიპოვოს ამ ჯარში. ამნაირად ყუბანის ჯარს, კონტრ-რევოლიუცია და ყუბანის დემოკრატია ერთად ქმნის. ჯარის დანიშნულებაა ბალშევიკებს შეებრძოლოს და გერმანიის ოკუპაცია თავიდან აიცილოს. ბოლოს ყუბანის მთელი ჯარი დენიკინის განკარგულებაში გადავიდა და ის მიდის ყუბანის ტერიტორიის გარეთ საბრძოლველათ. ეს ჯარი იბრძვის არა მარტო ბალშევიკების რაზმებს, არამედ უკრაინის დემოკრატიულ მოძრაობას და ყველა აღებულ ადგილებში დემოკრატიის ჩანასახსაც არ სტოვებს. იმავე დროს ყუბანში არსებობს რადა (პარლამენტი), რომლის უმრავლესობას შეადგენენ ზომიერი დემოკრატები. მათ ხელშია რადის ტრიბუნა, რომელსაც მხოლოდ სიტყვები აცავს, რადგანაც მათ არ ყავთ არავითარი შეიარაღებული ძალა. ყუბანის კონსტიტუციის ძალით, მთელი ძალაუფლება ოლქში ეკუთნის რადას. მაგრამ კონსტიტუციაში, ფერდინანდ ლასალის თქმით, შეიარაღებულ ძალასაც შესაფერი ადგილი უჭირავს. ყუბანის დაწერილ კონსტიტუციას ეს ძალა აკლდა, ხოლო გენერალ დენიკინის დაუწერელ კონსტიტუციაში უმთავრესად ეს ძალა მოიპოვებოდა. მხოლოდ რუსეთის დემოკრატებს, ფრაზეოლოგიით დამთვრალთ, შეეძლოთ ეფიქრათ, რომ რაღაც განყენებულ სამართლიანობის ნიადაგზედ დგომით შეიძლებოდა დემოკრატიულ წყობილების დამყარება. **დღევანდელ პირობებში დემოკრატია თუ არ არის შეიარაღებული, ის არარაობას წარმოადგენს და ყველა გამვლელ-გამომვლელი მას ჩაწიხლავს.**

არის მეორე საინტერესო (ჩვენთვის, საქართველოს დემოკრატიისთვის) მხარეც ყუბანის ტრაღედიაში. ამ ოლქს ყავდა თავისი ატამანი—გენერალი ფილიმონოვი. ის სიტყვით დიდი პატრიოტი იყო ყუბანის ოლქის. ბოლო დრომდი რადა მას ენდობოდა (საბრალო ყუბანის დემოკრატები!). სამაგიეროდ ფილიმონოვს არაფერი სწამდა დემოკრატიული პარლამენტის და გაჭირვების დროს მან უღალატა თავის ამომრჩევლებს. ამან გაუადვილა დენიკინის მომხრეებს გამარჯვება. აქედან დასკვნა შემდეგია: დემოკრატიის ხელმძღვანელი—დემოკრატი უნდა იყოს. უხეირო, მაგრამ ყუბანისადმი სიყვარულით გამსჭვალული, ატამანი უკეთესი იქნებოდა ამ შემთხვევაში, ვიდრე ნიკოლოზის ყოფილი განათლებული პოლკოვნიკი ფილიმონოვი.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ერთი მიზეზთაგანი ყუბანის დემოკრატების განადგურების არის ყაზახობის მიერ ფრონტის დატოვება. მათ დიდი ხანია განაცხადეს, რომ ზამთარში ისინი სახლში დაბრუნდებიან. ხდება ის, რაც მოხდა კერენსკის დროს. ასობით და ათასობით ყუბანის ჯარი სტოვებს დენიკინის ფრონტს. რუსეთის მთავარ სარდალი ტერორით ფიქრობს გაიმაგროს თავისი შერყეული მდგომარეობა. ჩრდილოეთით უკან დახეული დენიკინის ლაშქარი ჩვენ საზღვარს უახლოვდება. ის ჩვენი რესპუბლიკისთვის საშიში ხდება. ეს საშიშროება ნამდვილ საფრთხედ გადაიქცევა, თუ ადგილობრივი დენიკინელები დაეხმარება რუსის გენერალს. **ჩვენი მთავრობა და ყველა პატიოსანი მოქალაქე, ვისაც უყვარს რესპუბლიკა, მოვალეა ყოველი ზომები მიიღოს ადგილობრივ მოკალათებულ კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.**

ბ. თქლათელი.

მუშათა მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში

მოსკოვის კომუნისტები მთელ ევროპის მუშათა კლასს შესძახიან, რომ რუსეთში მართვა გამგეობა სახელმწიფოს, მისი სვე-ბედი მხოლოდ მუშათა ხელში არის. სოციალიზმი განხორციელებული არის. სოციალიზმის ბაირახტარი—მუშათა კლასი მეფობს და პროლეტარიატის დიქტატურა უკვე მიხწეული არის. რუსეთის კომუნისტებმა მუშათა კლასის და სოციალისტების ოცნება უკვე სინამდვილეთ აქციეს. მართალია ეს თუ არა? შეესაბამება კომუნისტების ლაღადება ჭეშმარიტებას თუ არა? მივმართოთ იმ მასალებს, რომელიც თვით კომუნისტების მთავრობის მიერ არის გამოქვეყნებული. მასალები შეეხება მოსკოვის სამრეწველო ოლქს. მოსკოვის ოლქში ძლიერ იყო გავრცელებული მრეწველობა აქ დიდ ძალი ფაბრიკები და ქარხნები იყო მოთავსებული. თვით კომუნისტებმა გამოიკვლიეს მრეწველობის მდგომარეობა მოსკოვის ოლქში და აღმოჩნდა:

	რიცხვი სამრეწ. დაწესებ., მუშაობა წარმოებდა	მუშაობა არ სწარმოებდა	სულ	ქარხნები, სადაც მუშ., წარმოებ. რიცხვ. მუშა
31 მარტამდის. 1918 წ.	973	219	1192	161.680
1 აპრილი 1919 „	761	393	1154	83.684
1 მაისი „ „	769	385	1154	86.450
1 ივნისი „ „	768	386	1154	90.704

11 თვის განმავლობაში დაიხურა 200 ქარხანა, რაც შეადგენს 21 პროცენტს. იმავე 11 თვის განმავლობაში ამუშავებული ქარხნებიდან შეჩერდა მუშაობა. მუშების რიცხვი ამუშავებულ ქარხნებში აგრეთვე შემცირდა. დახურულ ქარხნებიდან გავიდა 50,976 მუშა, რაც შეადგენს 37 პროც., საშუალო რიცხვი მუშებისა იმ ქარხნებში, რომლებშიაც მუშაობა არ შეწყვეტილა უდრის 112—118 კაცს. მაშასადამე დღეს დღეობით მუშაობს პატარა ქარხნები. სად მიდიან მუშები დახურული ქარხნებისა, რომელშიაც მუშაობა შეჩერებულია? უმრავლესი ნაწილი ამ მუშებისა არის ის მუშები, რომლებსაც თავისი მუშა ხელისა, თავისი მუშაობის ცოდნისა და უნარის მეტი არაფერი აბადია. ეს არის პროლეტარიატი, ნამდვილი პროლეტარიატი, რომლის ერთად ერთი სახსარი არსებობისა არის ის, რომ იგი გადის ბაზარზე და გააქვს თავისი შრომის უნარი და ყიდის მას. მუშა დახურული ქარხნებიდან რჩება უმუშაოდ და ქარხნების დახურვის შემდეგ გამოდის უმუშავართა ბაზარზე და ეძებს რაიმე მუშაობას. უმუშავართა რიცხვი საბჭოთა რუსეთში დღითი დღე იზრდება და მატულობს. დახურული ქარხნებიდან გამოსული მუშები მიეშურებიან დიდ ქალაქებში და იქ ეძებენ მუშაობას. მაისში მოსკოვში იყო 20,106 უმუშავარი, 10,395 მამაკაცი და 9711 დედაკაცი, აპრილში კი უმუშავართა რიცხვი უდრიდა 11,915. ერთი თვის განმავლობაში უმუშავართა რიცხვმა ძლიერ იმატა, 8191 ანუ 69 პროცენტი, წინა თვეების უმუშავართა რიცხვს თუ მივუმატებთ სულ ერთიანად ქ. მოსკოვში მაისში ირიცხება 27,478 უმუშავარი.

უმუშევართა რიცხვი ამნაირათ იყო განაწილებული:

	მამაკაცები			დედაკაცები
აპრილში	6,008	—	—	5,907
მაისში .	10,395	—	—	9,711

უმუშევარ დედაკაცთა და მამაკაცთა რიცხვი აპრილში და მაისში თითქმის თანაბრად არის განაწილებული.

ერთი წლის განმავლობაში მოხდა ასეთი ცვლილებანი. რით არის გამოწვეული ეს ცვლილებანი? მიზეზები მრავალგვარი არის. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საერთაშორისო ომიანობამ რუსეთის ეკონომიური ცხოვრება ძირიანად შეარყია და დაანგრია. მაგრამ ეს არის საზოგადო მიზეზი, რომლის ზედ გავლენას განიცდის მთელი ევროპა. რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაში, საბჭოთა რუსეთში არის განსაკუთრებული მიზეზები, წარმოშობილი კომუნისტური წესწყობილების მიერ, ქარხნებს და მრეწველობას საერთოდ არა აქვთ ნედლი მასალა. ქარხნებში მუშაობა სწყდება და მუშები იქიდან ირეკებიან იმიტომ, რომ ქარხნებს არა აქვს მასალა. კომუნისტების რუსეთი მოწყვეტილი არის ნედლი მასალების წყაროებისაგან. ასეთი მდგომარეობა შექმნა იმიტომ, რომ კომუნისტების ბატონობამ, წითელი ხიშტების თარეშობამ, ჩრეზვიჩაიკებმა და ბევრმა კიდევ სხვამ ჩამოაშორა რუსეთის ძველი ნაწილები, გაყო რუსეთი; კომუნისტების ბატონობა, მათი უნიადაგო წესწყობილება ვერ შეითვისა ჭეშმარიტმა სოციალისტებმა და დემოკრატიამ. გაიყო რუსეთი, დემოკრატიის რაზმი დანაწილდა და რუსეთი ჩავარდა დაუბოლოვებელ გამანადგურებელ სამოქალაქო ომში. ყუბანცები უღებენ კარებს დენიკინის შავ რაზმებს. რუსეთის კომუნისტებმა ვერ შეიგნეს, რომ დღევანდელი ეკონომიური წყობილება ისე არის მთელ მსოფლიოში მოწყობილი, რომ სხვადასხვა ქვეყნები და ერები მჭიდროთ არიან გადახლართული, გადაბმული და ერთი ნაწილის გამოყოფა შეუძლებელია. მთელი ეკონომიური წესწყობილება ისე არის ურთიერთშორის დამოკიდებული, რომ თუ ამ წყობილებას და დამოკიდებულებას ერთი ნაწილი გამოეყოფება ამ ნაწილისათვის ასეთი გამოყოფა სასიკვდილოა და მთელი სხეული კი საღათ დარჩება. რუსეთში კომუნიზმს ეკონომიური ნიადაგი არა აქვს. რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ისეთი იყო და კიდევ იქნება, რომ დამოუკიდებელი არსებობა მრეწველობისა შეუძლებელია. კომუნიზმი რუსეთში არის გამონაკლისი, ევროპის და თვით რუსეთის მეტი ნაწილი მას ვერ ღებულობს და რუსეთის კომუნისტები რიყეზედ დარჩენ და საუკეთესო მაჩვენებელი ამ მდგომარეობისა არის ის, რომ მრეწველობა ინგრევა, ეკონომიური ცხოვრება ირღვევა. საშინელი ზრდა უმუშევართა რიცხვისა მომასწავებელია იმ უტყუარი ჭეშმარიტებისა, რომ კომუნიზმი სამარეს უმზადებს მუშათა კლასს, სპობს მას, აუძლურებს მას.

მუშათა კლასის დაუძლურება ხელს უწყობს რეაქციას, ეხმარება შავი რაზმების გაბატონებას, ვინაიდან გაფანტული, დასნეულებული, უძლური მუშა, მშრომელი არაფერს არ წარმოადგენს. მაშასადამე—კომუნიზმი და თითქოს გამეფებული დიქტატურა პროლეტარიატისა—სამარეთ გადაიქცა მუშათა კლასისათვის. აი კიდევ დამამტკიცებელი ამის საბუთები იმავე კომუნისტების ცნობებზედ დამყარებული.

კომუნისტებმა გამოიმუშავეს თუ რამდენი სანოვაგე უნდა მიიღოს მუშამ, რომ მის შრომას ნაყოფი ექნეს. სანოვაგე, საკვები გადამუშავებული ადამიანის სხეულში ქმნის ძალას, შრომისადმი შეძლებულებას, ეს ძალა გაიზომება კალორიებით. 2300 კალორი არის ისეთი შედეგი მშრომელის გამოკვებისა, რომ მუშას შრომის გაწევა არ შეუძლიან. ეს ისეთი მდგომარეობა არის, რომ ადამიანი არ კვდება, მხოლოთ როგორც

დღეს

გერმანული პრესის ცნობით მოსკოვში მოლაპარაკება მომხდარა ბოლშევიკებსა, ესერებსა და ინტერნაციონალისტებს შორის. შეთანხმებულან დამფუძნებელი კრების მოწვევისა და მთავრობის შედგენის საკითხში.

იაპონიამ ჩინეთში სამხედრო გემები გაგზავნა თავის ქვეშევრდომთა დასაცავათ ჩინელთა თავდასხმისაგან.

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარმა ალეპპოს პროვინციის მთავარი ქალაქები დაიკავა.

მოსკოვიდან წასვლის გამო ავღანისტანის საგანგებო მისიას სახალხო კომისართა საბჭომ ზეიმი გაუმართა და სურვილი გამოსთქვა საბჭოთა რუსეთსა და ავღანისტანს შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლებისა.

დანციგით გაგზავნილი ინგლისის ჯარი მაზურის ტბების ტერიტორიას დაიკავებს, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს.

ფრანგული პრესის ცნობით რუმინიაში რესპუბლიკანური მოძრაობა იზრდება. დინასტია საშიშო მდგომარეობაშია.

მუშა ის ვარგა. სოფლის მეურნესათვის საჭიროა ისეთი გამოკვება, რომელიც შექმნის 4600 კალორას, დანარჩენ დარგებში—4277 კალორი.

კომუნისტების საგანგებო გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მუშა, რომელიც არსებული გამოკვების შემწეობით შექმნის—3050 კალორას, მას შეუძლია შეასრულოს 30 პროც. მუშაობისა, 3500—52 პროც., 4500—74 პროც. 4600—100 პროცენტი. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მუშების გამოკვების საქმე ისეთ მდგომარეობაშია, რომ მომეტებულ ნაწილს მუშებისას 3500—4000 კალორის მეტის ძალა არა აქვს. მუშების მდგომარეობა ასეთია, ისინი ისეთ სიმშილობას განიცდიან, რომ ძალაუნებურათ მთელ მუშაობას ვერ ასრულებენ და მათი მუშაობის ნაყოფიერება შემცირებულია სანახევროთ, დიდძალი მუშებისა უმცირეს საფეხურზედაც სდგანან და სრულიად უვარგისნი არიან მუშაობისათვის. შიმშილი სწყვეტს მუშებს, დამშეული მუშები ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილან, რომ მათ მუშაობას დოვლათი არ მოსდევს.

ასეთია მდგომარეობა მუშებისა საბჭოთა რუსეთში: ქარხნები და ფაბრიკები იხურება, მუშა ღვთის ანაბარათ რჩება, უმუშევარნი იკრიფებიან ქალაქებში სამუშევარის ძებნაში. დამშეული მუშები ვერ იჩენენ ნაყოფიერებას და ის ქარხნები, ფაბრიკები, რომლებიც ჯერ არ დახურულა, დამშეული, დაუძლურებული მუშებით აწარმოებენ საქმეს.

ს. ავალიანი.

შენიშვნები

V

შავი ფურცელი.

ქუთაისი არ ხუმრობს. ის დიდ „რევოლიუციონურ" დუღილს განიცდის. უსაქმობით დაგროვილი ენერგია ლამის არის წარღვნათ მოევლინოს ქუთაისის ბულვარს.

მემაირახტრეთ ქუთათური „მოძრაობისა" გამოდიან სხვადასხვა დარგის მოხელენი. თქვენ გახსოვთ ბ. ჭირაქაძის მუქარა მთავრობისადმი: თუ ეს ახე არ იქნა—ვიტოვებთ უფლებას თავისუფალი მოქმედებისასო.

ხაზინის მოხელეთა კავშირის „რევოლიუციონერობამ" გაიტაცა მასწავლებელთა კავშირი, რომელმაც „თავისუფალი მოქმედება" ფაქტათ აქცია და შაბათს უკვე გაფიცვა გამოაცხადა.

ბევრი დუხჭირი მოვლენის მოწამე ვყოფილვართ, მარა ასეთი უაზრო, ასეთი უმადური, ასეთი უმიზნო გაფიცვა პირველია ჩვენი ცხოვრების პრაქტიკაში. ქუთაისის მასწავლებლებმა კარგათ იციოდენ, რომ მათი ჯამაგირის მომატების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. კიდევ მეტი. მაშინ როცა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სულს ლაფავენ გაჭირვებაში, მიუმატეს მხოლოთ ორმოცი პროცენტი, მასწავლებლებს მიემატა ასი. ამ განსაკუთრებულ ყურადღებას ქუთაისის მასწავლებლებმა გაფიცვით უპასუხეს. და ეს ერთხელ კიდევ ააშკარავებს იმ მონურ ფსიხოლოგიას, რომლითაც დასნეულებულია ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი. ისინი მაშინ „რევოლიუციონერობენ", მაშინ „რადიკალობენ", როცა გრძნობენ, რომ ამისთვის არავითარი საფრთხე არ მოელით. აბა ყოფილიყო ბატონი რუდოლფი! მაშინ არამც თუ გაფიცვა, ხმა მაღლა დალაპარაკებასაც კი ვერ გაბედავდენ.

გაფიცვა, რა დარგშიაც არ უნდა მოხდეს, დღევანდელ პირობებში არამც თუ დაუშვებელია—უმაღლესი დანაშაულობა ქვეყნისა და დემოკრატიის წინაშე. გაფიცვა ბრძოლის მახვილი იარაღია, და ამ იარაღს იღებს ქუთაისის მასწავლებლობა ქვეყნის და მთავრობის წინააღმდეგ და ისიც იმ დროს, როცა ყოველმხრიდან შავი რეაქცია გველივით შემოიკლაკნა და ბოროტი ხელი შიგნით ანგრევს და ანადგურებს რევოლიუციის მონაპოვარს. ასეთ დროს საჭირო იყო მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა, ამოძრავება ყველა მომქმედი და ცოცხალი ძალების ქვეყნის გადასარჩენათ. ნაცვლად ამისა, ქუთაისის მასწავლებლები თვით იღებენ იარაღს და თავის ხეპრული გაფიცვით შეაქვთ დეზორგანიზაცია წეს წყობილებაში, ქმნიან არევ დარევას და ასე ხელს უწყობენ რეაქციის გაძლიერებას. მომავალი ისტორიკოსი მწუხარებით ჩასწერს ჩვენს წითელ ისტორიაში ქუთაისის მასწავლებლების ამ შავ ფურცელს.

პედაგოგიური მხრით ხომ სრულიად შეუწყნარებელია ასეთი გაფიცვა. გამოკეტვა კარების ათასი მოწაფისათვის ის ისეთი ზნეობრივი დანაშაულია, რომელიც არ ეპატიება არც ერთ პასუხისმგებელ მოქალაქეს.

ამიტომ განათლების სამინისტროს მოვალეობაა მკაცრი ხელით საზღვარი დაუდოს ასეთ დანაშაულს და ენერგიულათ მოუწოდოს პასუხისგებას გადაჩვეულ მასწავლებლებს წესიერებისაკენ.

გ—ნი.

პრესა

„აზხატავორი" (№ 254) ეხება სომხეთ ადერბეიჯანის ხელშეკრულებას, აგრეთვე ასეთსავე საქართველოსთანაც და შემდეგს სწერს:

„დაიშალა წინანდელი საერთო დემოკრატიული ფრონტი, მაგრამ მის ალაგს, უნდა ითქვას, აღსდგა ახალი ფრონტი, თუმცა სხვა დევიზებით და სხვა პირობებში.

„საერთო მასშტაბით ბრძოლამ ალაგი დაუთმო ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს და გუშინ ერთად მებრძოლი დემოკრატიები დღის დაპირდაპირებულან თავიანთი სახელმწიფოებრივი საზღვრების დასაცავათ.

„იყო მომენტი, როცა გვეგონა, რომ ამიერ კავკასია ახალ ბალკანეთად იქცეოდა.

„ამ ხელშეკრულებების ძალით სამივე რესპუბლიკა მოვალენი ჰხდებიან გადასწყვიტონ ყველა სადავო საკითხები ურთიერთ შეთანხმებით ან სავალდებულო არბიტრაჟით.

„ამ თვალსაზრისით ეს ხელშეკრულებანი დიდი ისტორიულ მნიშვნელობას იღებენ თუ ეს ხელშეკრულებანი ჯირჯირობით დეკლარატიური ხასიათისა არიან, უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოკლე ხანში განხორციელებულ ფაქტის წინ დავდგებით. ხალხის დაქინებითი მოთხოვნით აგრესსიული ნაციონალიზმი უეჭველათ დაუთმობს და სამი მეზობელი დემოკრატიები შერიგებული და სოლიდარობით გამოვლენ თავიანთი საერთო ინტერესების დასაცავათ და საერთო მტრის წინააღმდეგ".

უნდა ვიფიქროთ, ამ სოლიდარობის განმტკიცებაში დაშნაკელების ორგანო თავის წვლილს შეიტანს, რადგან ამ სოლიდარობის გარეშე არც ერთ რესპუბლიკას არ შეუძლია იარსებოს და ვისაც მართლა არ უნდა ჩვენში „ბალკანეთის" გაჩენა, ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება მტკიცე საფუძვლები ჩაუყაროს სოლიდარობის და შეთანხმების იდეას...

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

1 დეკემბერი

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ნოემბერი 29. სამხედრო ცნობა. ნარვის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ნარვის სამხრეთით მტრის ნაწილები ჩვენ მხარეზე გადმოვიდნენ. დასავლეთ დვინის რაიონში მზვერავები მოქმედებენ და სროლაა. ბორისოვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. ნეჟინის სამხრეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ჯარი მხნედ იბრძვის. სუმის ჩრდილოეთით 10 ვერსზე წინ წავიწიეთ. სუჯის რაიონში მიროპოლიის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ბელგოროდის მიმართულებით ობოიანის სამხრეთით 15 ვერსზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. რკინის გზის ხაზზე ჩვენმა ჯარმა სად. რჟავის სამხრეთით წინ წაიწია. ლისკის სამხრეთით 10 ვერსზე ბრძოლა გრძელდება. კალაჩ-ურიუპინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კრასნოპოლიე პოდგორნიეს რაიონში კალაჩის ჩრდილო აღმოსავლეთით 10 ვერსზე წინ წაიწია, ტყვეები წამოვიყვანეთ. ცარიცინის რაიონში დონსა და ვოლგას შორის ჩვენმა ჯარმა აიღო სოფ. კოტლუბანკა, სად. კოტლუბანი. ვოლგას მარცხენა ნაპირზე ჩვენ ქუკატინოს რაიონში, ცარიცინის აღმოსავლეთით 5 ვერსზე მტერი დავამარცხეთ და ეს ადგილი ავიღეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. ჩვენი ჯარი ცარიცინის ვოგზალს მარცხენა მხრიდან ესვრის. ჩვენი შეტევა ვოლგას ორივე ნაპირზე, ცარიცინზე გრძელდება. ჩვენ ქალაქი ატბასარი ავიღეთ. მტერი აკმოლინსკისაკენ იხევს. კაინსკის დასავლეთით 80 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სად. კარაჩი აიღო. წამოვიყვანეთ 100 მდე ტყვე. ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება.

ლიონი ნოემ. 28 ლიონის დელეგაციის ცნობით იაპონიამ ჩინეთში 8 კრეისერი და 2 ნაღმოსანი გაგზავნა იაპონიის ქვეშევრდომების დასაცავად ჩინელების მიერ თავდასხმისაგან.

ნაუენი. 28 ნოემბერი. საფრანგეთის მთავრობა თავისს უკანასკნელ ნოტაში აღუთქვამს, რომ გერმანიის ტყვეებს რვა დღის განმავლობაში გაანთავისუფლებს, უკეთუ გერმანია სარატიფიკაციო ოქმს ხელს მოაწერს, ე. ი. ტყვეთა განთავისუფლება იმ მანქანების ფასით უნდა გამოიყიდონ, ურომლისოდაც გერმანიას ცხოვრება შეუძლებელი იქნება.

ნაუენი. 29 ნოემბერი. ამსტერდამის გაზეთის „ტელეგრაფის" ცნობით 28 ნოემბერს მექსიკაში სამოქალაქო ომი დაიწყო. პრეზიდენტი კარანცა გაიქცა.

მოსკოვი. 29 ნოემბ. გუშინ მოსკოვიდან გაემგზავრა ავღანისტანის განსაკუთრებული მისია. წასვლის წინ სახალხო კომისარებმა მათ ზეიმი გაუმართა. სახალხო კომისარებმა სურვილი გამოსთქვეს ავღანისტანთან ვაჭრობის განახლებისა.

საპასუხო სიტყვაში ავღანისტანის ელჩმა გამოსთქვა რწმენა, რომ ინგლისი ვერ შესძლებს ავღანისტანს დამოუკიდებლობა იარაღის ძალით წაართვას. თუ ინგლისი შეეცდა ავღანისტანის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლას, მის წინააღმდეგ აღსდგება ინდოეთი და სპარსეთი.

გერმანული პრესის ცნობები

კოპენჰაგენში 200 გერმანელი მოვიდა, რომელნიც დევნილნი არიან ჩრდილოეთ ამერიკიდან. დღეს მათ შესაძლებლობა მიეცათ გერმანიაში დაბრუნებისა.

ბუქარესტიდან მოსული ცნობით მეფემ კაბინეტის შედგენა მიანდო ალბინალბინდერ ვაიადა ვოევოდას, რომელიც რუმინიის შვიდი ქალაქის დელეგაციის თავმჯდომარეთ იყო. „ხუთთა საბჭოს" უკანასკნელი ნოტა რუმინიაში იყო მოტანილი 24 ნოემბერს ასე რომ 8 დღის ვადა ჯერ კიდევ არ გასულა. რუმინიის მთავრობამ 5 დეკემბრამდე უნდა განაცხადოს სურს თუ არა მას ხელი მოეწეროს სენ ჟერმენის და ნეილის ხელშეკრულებასა და ამათ ორივე დამატებებს.

ისპანიის ქალაქ ბარცელონაში 30,000 მუშა გაიფიცა. სოციალური მდგომარეობა ისპანიაში მეტად გამწვავებულია. მადრიდში ბრბო მაღაზიების დამტვრევას ცდილობდა. პოლიციასთან შეტაკებები მოხდა.

სამხრეთ ჩინეთის ქალაქ ფიუტჩაუში იაპონელების გაფიცვამ სერიოზული შეტაკებები გამოიწვია. იაპონიის მთავრობამ ფიუტჩაუში ორი მცირე ნაღმოსანი გაგზავნა.

ლონდონიდან გადმოგვცემენ ნეიტრალურ სახელმწიფოების მთავრობათა პასუხის მთავარ აზრს, უმაღლეს საბჭოს ნოტაზე საბჭოთა რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე. პასუხში ნათქვამია, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა მიერ მიღებული საშუალებანი სავსებით შეეფერება მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს განზრახვას ნიდერლანდიის მთავრობამ დაუმატა, რომ ის საბჭოთა რუსეთთან არავითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება და კარგა ხანია ვაჭრობაც შესწყვიტა მასთან.

„ფოსიშე ცაიტუნგს" მოყავს „ვარშავსკაია რეჩი"-დან ამოღებული ცნობა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მომხდარა 9 ნოემბერს მოსკოვში ბოლშევიკებსა, ესერებსა და ინტერნაციონალისტებს შორის. ბოლშევიკები ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევის მომხრენი არიან. მთავრობის შემადგენლობაში სოციალისტ რევოლიუციონერებისაგან შევლენ ჩერნოვი, ვოლსკი, ზენზინოვი, მენშევიკებიდან მარტოვი, დანი და სხვა. ახალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს ეროვნული დამფუძნებელი კრება. არჩევნები პროპორციონალურ სისტემით უნდა მოხდეს. ახალმა მთავრობამ უნდა მიმართოს დენიკინისა და კოლჩაკს დროებით ზავის შეკვრის მოთხოვნილებით, რათა საშუალება მიეცეთ არჩევნების თავისუფლად ჩატარებისა. მთავრობამ აგრეთვე ნაბიჯები უნდა გადასდგას ბლოკადის მოხსნის შესახებ მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ დიდხანს ითათბირა ევროპაში ეკონომიური მდგომარეობის საკითხის შესახებ. მან აგრეთვე ითათბირა ავსტრიაში და სომხეთში სურსათის საქმის გაუმჯობესობის შესახებ. საბჭომ თანხმობა გამოუცხადა, როგორც პირველ საჭიროების ზომების, დანარჩენ კრედიტი ვენის დახმარებას მოანდომონ. გარეშე ამ ზომისა უმაღლეს-საბჭოს არა აქვს არც ძალა, არც აუცილებელი რესსურსები, რომ მდგომარეობა შესამჩნევად გააუმჯობესოს.

უმაღლესმა საბჭომ უარი განაცხადა უნგრეთთან ხელშეკრულებაში შესწორება შეიტანოს ავსტრიაში სურსათის შეზიდვის გამო.

სტამბოლიდან მოსული ცნობით, საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი მარაშში, ესტაბში აურფაში შევიდა. (ალეპპოს პროვინციის მთავარი ქალაქები). საფრანგეთის გავლენიანმა პირებმა ბაღდადის იმ რკინის გზის ნაწილის მართველობა თავის თავზე აიღეს, რომელიც საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში გადის.

29 ნოემბრ. უმაღლესი საბჭო თათბირობდა გერმანიის განადგურებულ გემების და წყალქვეშა ნავების მასალის განაწილების საკითხზე.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ნახშირის მაღაროების მესაკუთრეებმა მიიღეს წინადადება მუშებს 77 პროცენტი მოუმატონ ისე, რომ ნახშირის ფასი არ გაძვირონ.

რუმინიაში რესპუბლიკანური მოძრაობა იზრდება. დინასტიის მდგომარეობა საშიშოა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ კარანცის ჯარმა ტამპიკოს ახლო ამერიკელი მოქალაქე ჯემს უელისი მოჰკლა. დანიშნულია გამოძიება. მოელიან ულტიმატუმს.

მოხალისეთა ცნობები.

დონის როსტოვი. სამხედრო ცნობა. ნოემბ. 30. ჩრდილოეთ კავკასიაში და ცარიცინის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ბალაშოვის მიმართულებით ბოტოვსკაიას და პრავოტოროვსკაიას რაიონში წითლებმა ჩვენი ჯარი შეავიწროვა. სად. ბუტურლინოვკა ავიღეთ. ვორონეჟის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. სტარო-ოსკოლთან და ნოვო ოსკოლთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. წითელი პოლკი სრულიად დავამარცხეთ. კურსკის, გლუხოვის და ჩერნიგოვის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. ჩვენი ჯარი პეტლიურას სდევნის.

გალიციის ლაშქრის სარდლობისაგან, რომელიც პეტლიურას ჯარში შედის, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ვინიცას მიმართულებით მომქმედ ჩვენ ჯართან მივიდენ პარლამენტიორები საზავო წინადადებით. მოლაპარაკება მოხდა 30 ნოემბ. ქ. ოდესაში ორივე მხარე შეთანხმებას ხელი მოაწერა. შეთანხმების ძალით გალიციის არმია მთელის შემადგენლობით მოხალისეთა განკარგულებაში გამოდის. ხელშეკრულება ძალაში შევიდა ძველი სტილით 6 ნოემბრიდან.

ყუბანის საოლქო რადამ ძველი ატამანის გენერალ ფილიმონოვის გადადგომის შემდეგ ჯარის ატამანათ გენერალი უსპენსკი აირჩია.

25 ნოემ. ინგლისის მისიის მეთაურმა გენ. ბრიკსმა ინახულა ვაჭრობა მრეწველობის მმართველობა. გენ. მართველობის ახალმა უფროსმა ფენინმა მიიღო. საუბარი უმეტესათ შეეხებოდა საგარეო ვაჭრობის საკითხს. გენ. ბრიკს აუწყეს, რომ განზრახულია ახალი ხელშეკრულება ვაჭრობის გაცვლა გამოცვლის მოწესრიგების შესახებ. ამ ზომებმა ინგლისში ჩვენი ექსპორტი უნდა გააძლიეროს.

ხარკოვში თბილი ტანისამოსის შეკრებამ დიდი შედეგი მოიტანა.

ამერიკულ პრესის ცნობები.

(ლიონის რადიო სადგურიდან).

ტორონტოდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ინგლისის მისიას მთავრობამ აცნობა, რომ 16,000 ინგლისის ჯარისკაცი უკვე მზად არის მაზურის ტბების ტერიტორიის დასაჭერად, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს. ჯარს დანციგით გაგზავნიან.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ რომიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ არგენტინის მთავრობამ სექტემბრის 15 ის დეკრეტით აღიარა საქართველო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო". ყიფიანი.

◆ **ნ. ნ. ჟორდანიას დეპეშა არგენტინის პრეზიდენტს.** „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ არგენტინის მთავრობამ ამა წლის 15 სექტემბრის დეკრეტით საქართველო აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. ამ ცნობას ჩვენი რესპუბლიკა შეხვდა უმაღლესი სიხარულისა და მადლობის გრძნობით თავისი უფროსი დის არგენტინისადმი, რომელიც ყველა სახელმწიფოს უწინარეს მიხვდა საქართველოს დემოკრატიის მისწრაფებას და თავისი დეკრეტით იმედი მოგვცა, რომ ამ მაგალითს მიჰყვებიან სხვა სახელმწიფონიც. გიძღვნით უღრმეს მადლობას და გულწრფელათ ვუსურვებთ არგენტინის დემოკრატიას აყვავებას".

◆ **დატუსაღება.** 30 ნოემბერს სახალხო გვარდიელებმა კოჯორის ქუჩაზე დაატუსაღეს ბოლშევიკების მეთაური ფილიპე მახარაძე. იმავე დღეს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ნაშუადღევის 3 საათზე დაატუსაღა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში ბოლშევიკური გამოსვლების მეთაური ალექსანდრე მახარაძე.

◆ **ჩვენი ფული ბათომში.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბათუმის ელჩისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ბათუმისა და მისი ოლქის საფოსტო დაწესებულებებში გაკრულია განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ფოსტითა და ტელეგრაფით გადასაგზავნი ფული მიიღება მხოლოდ საქართველოს და ამიერკავკასიის ბონებით".

◆ **ყაზბეგიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: 28 ნოემბერს, კავკავიდან ყაზბეგში მოვიდა ჩვენი კონსული ექიმი მაჩაბელი, რომელიც განდევნილ იქნა მოხალისეთა ჯარის ტერიტორიიდან ჩრდილო კავკასიის ჯარების უფროსის გენერალ ერდელის მიერ.

◆ **საბერძნეთის ჯარი სომხეთში.** პოლკ. ჰასკელის შუამდგომლობით, სამშვიდობო კონფერენციამ დაადგინა გაგზავნოს სომხეთში 2 დივიზია ბერძენთა ჯარისა. („არაჩი")".

◆ **მწყემსებზე თავდასხმა.** სიღნაღის მაზრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ ამ დღეებში შირაქის ველზე მწყემს—თუშებს თავს დასხმიან ადერბეიჯანის სოფ. უსუფლოდან გადმოსული თათრები, რომელთაც მოუკლავთ ორი მწყემსი, ორიც დაუჭრიათ და 3000 სული ცხვარი გაურეკიათ. შინაგან საქმეთა მინისტრმა უბრძანა სიღნაღის კომისარს სასწრაფოთ მიიღოს ზომები ყაჩაღების წინააღმდეგ.

◆ **საკომენდანტო სამმართველო** რუსთაველის ქუჩიდან გადავიდა ახალ ბინაზე. მისამართი: ყოფილი სადგომი 1 ლი პრაპორშჩიკების სკოლისა კუკიის სასაფლაოს მახლობლათ (სადარაჯო ათასეულის ბინა).

◆ **სახელმწიფო თეატრში** დღეს, 2 დეკემბერს კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება მისი ორიგინალური ოპერა „აბესალომ და ეთერი" ივ. სარაჯიშვილის, ინაშვილის, მანდინოვასი და სხვათა მონაწილეობით.

◆ **გვამი.** 30 ნოემბერს, ელისაბედის ქუჩაზე № 66, თავის ბინაზე იპოვნეს მარია იუნგაროვას გვამი. მკვლელობაში ბრალი ედება ამბარცუმ შიხალოვს, რომლის დასაჭერად მიღებულია ზომები.

◆ **„ნაძალადევის"** თეატრში სამშაბათს, 2 დეკემ. დანიშნულია კონცერტი ცენტრ. კლუბთან არსებულ „კაპელას" დასაწყისი სრულ 8 ს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 ს. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფ. (ნაძალადევი) მუსიკალურ საზოგადოების კაპელას კონცერტი. 3 განყოფ. (ჩუღურეთი) 1) შალამბერიძე „ქიმია" 2) ი. ნაკაშიძე „სახელოვან კაცთა ცხოვრება". 6 განყ. (ერთობის უბანი) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები", 2) იოს. ანთაძე „საქართველოს ისტორია". ცენტრალური განყოფილებაში (პლეხანოვის პრ. სახ. № 123) ყოფილ რუსთა კლუბის შენობაში: 1) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა", 2) ვ. ბარნოვისა „ქართული მწერლობა".

◆ **აწყურის რაიონული** ს. დ. პარტიული ყრილობა მიესალმება ცენტრალურ კომიტეტს,—გვიგულეთ რევოლიუციის ერთგულ დარაჯადო. თავმჯდომარე.

◆ **სამტრედიის** ოლქის სახალხო გვარდიელთა მესამე ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და აღუთქვამს, რომ სამტრ. გვარდია ჩვეულებრივზედ მეტი ენერგიით შეებრძოლება რესპუბლიკის მტრებს მარცხნიდან იქნება ის თუ მარჯვნიდან მოვლინებული.

კრებები

მეხამე რაიონის კოლექტივი საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა, აუწყებს ამხანაგებს, რომ სამშაბათს 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე დანიშნულია ორგ. წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, 2 დეკემბერს ცეკას ბინაზე შესდგება საქ. ახალგაზრდა მარქ. ორგ. საკანტროლო კომისიის კრება სრულ 5 საათზე.

პროვინციის ქრონიკა

ახალსენაკის ვაჟთა გიმნაზიაში საჭიროა ერთი მუსიკის მასწავლებელი, რომელსაც მიეცემა გაკვეთილები ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში, აგრეთვე ასეთივე პირი ესაჭიროება ქალაქსაც. თხოვნების გამოგზავნა შეიძლება [illegible]

ფოთის [illegible] რომლის მოწმობები იარაღის ტარებისა, რომელიც ხსენებულ შტაბის მიერ იყო გაცემული ამა წლის 20 გიორგობის თვიდან გაუქმებულად ითვლება.

ქართული ანბანი

შარშან, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ჩვენს რესპუბლიკაში საქმის წარმოება თანდათან ქართულად უნდა დაწყებულიყო, კანცელარიებში ერთ უმთავრეს საკითხად გადაიქცა საწერ მანქანების ქართულ ასოებით მოწყობა. ამ დროისათვის აქა-იქ უკვე არსებობდა ასეთი მანქანები. მაგრამ ამ მანქანებით დაწერილი ასოები ულამაზობისა და უსიმეტრიობის გარდა, იმ ნაკლს განიცდიდნენ, რომ ხშირად ერთი-მეორესა ჰფარავდნენ და დაწერილს გაურკვეველს ჰხდიდნენ.

მადერის ფირმამ ამისთანა უხერო მანქანების დამზადებაც კი ვერ მოახერხა. სხვები კი მაშინ ჯერ არსადა სჩანდნენ. რადგანაც მე გერმანიაში ვაპირებდი წასვლას, განვიზრახე ამ მანქანების დაკვეთა და ყოფილ პარლამენტის კანცელარიის დირექტორისაგან მოწერილობაც კი მივიღე მიმეწოდებინა მისთვის „გაუმჯობესებული" საწერი მანქანები. სწორედ მაშინ თამებადა აზრი ასოების მოხაზულობის ისეთნაირად გაუმჯობესობისა, რომ საწერ მანქანებით წარმოშობილი ნაკლი გაუქმებულიყო.

რადგან საწერი მანქანები თითო კბილიან ასოების (ლათინური) პრინციპზეა აგებული, ხოლო ქართული ანბანი ორ და სამ კბილიან ასოებისაგანაც შესდგება, საწერ მანქანის ერთ უჯრაში ხშირად ორ და სამ კბილიანი ასოები თავსდებოდა. ამიტომ სიტყვებში ასოები ხან შორი შორს მიდიოდა (როდესაც სიტყვა თითოკბილიან ასოებისაგან შესდგებოდა), ხან კი ისე ახლო ახლო, რომ ხშირად ერთი ასოს ნაწილი მეორე ასოს ნაწილსა ჰფარავდა და დაწერილს გაურკვეველადა ჰხდიდა. იყო ისეთი საწერი მანქანები, რომლებსაც თითო კბილიანი ასოები მსხვილები ჰქონდა, ორ და სამ კბილიანი ასოები წვრილები, ისე რომ ერთ ასოს ყველა კბილები ერთ უჯრაში იყო მოთავსებული. ამ შემთხვევაში, თუმცა ერთი ასო მეორეს არა ჰფარავდა, მაგრამ დაწერილი ასოები სხვა და სხვა სიმსხოსი გამოდიოდა და ძალიან ულაზათოდ მოსჩანდა.

საწერ მანქანის აგებულება კი ისეთია, რომ სხვადასხვა ასოსათვის მანქანის უჯრას ვერ გავადიდებთ (მაშასადამე ვერც დავაპატარავებთ).

ამიტომ გადავწყვიტე ჩვენ არსებულ ანბანის მოხაზულობა ისეთნაირათ შემეცვალა, რომ ყველა ასო მხოლოდ თითო კბილიანი გამხდარიყო. მაშინ საწერ მანქანებზე ზემოდ დასახელებული უხერხულება აღარ იარსებებდა.

საკითხის ამგვარად გადაჭრით კეთდებოდა ბეჭდვითი საქმის რამოდენიმე სხვა დიადი მნიშვნელოვანი მხარეებიც.

ერთი ის, რომ თუ ქართულ ანბანში ორ და სამ კბილიანი ასოები არ იქნება, ყველა თითო კბილიანად შეიცვლება, მაშინ ქართულ ანბანის ოცდა ცამეტი ასოს 46 კბილის ნაცვლად იქნება მხოლოდ 33 კბილი. 13 კბილით შემოკლებული ანბანი დაწერის დროს თითქმის 30 პროც. ნაკლებ ადგილს დაიჭერს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სიტყვები ორ-სამ კბილიანი ასოები თითო უჯრიანს პროპორციულად სჭარბობს, მაშინ ეს 30 პროცენ. გადააჭარბებს 40 პროცენტს. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ 100 გვერდიანი წიგნი იმავ შინაარსით შეიძლება შემცირდეს 60 გვერდიანამდე, ან და თითქმის ორჯერ უფრო მსხვილ ასოებით დაიბეჭდოს.—ამას, რა თქმა უნდა, დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითი საქმისათვის.

მეორე დიდი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ასოების მოხაზულობა გამარტივდება, რგოლების სიმრავლე შემცირდება და მკითხველს თვალი ნაკლებ აუჭრელდება, უფრო ადვილად გაარჩევს ერთს ასოს მეორისაგან, მით უმეტეს, რომ უფრო ხშირად გამოჩნდება ასოების ზევითა და ქვევითა განმასხვავებელი ხაზები. ამგვარად ჩვენი ასოების მოხაზულობის პრინციპები ლათინურ ასოების მოხაზულობისას მიუახლოვდება და, ლათინური ანბანი ხომ არსებულ ანბანთა შორის სამაგალითოდ ითვლება.—ამ მეორე პრინციპის განხორციელებით უაღრესად პედაგოგიური საქმე კეთდება.

ასეთი გამარტივება ანბანისა არაფერს არაჩვეულებრივს და მიუღებელს არ წარმოადგენს. ეს გამარტივება ქართული ანბნისა უკვე მომხდარი საქმეა. იშვიათად თუ იწერება სადმე სამკბილიანი "ლ", ან ორკბილიანი „დ", „რ", „ო"... და სხვა.

ამ ხალხისა და ისტორიის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ანგარიში უნდა გაეწიოს და მოისპოს ის უთანხმოება, რომელიც არსებობს ჩვენს ასოების ბეჭდურ და ხელწერილ მოხაზულობათა შორის. დღეს ჩვენ ვამბობთ: ქართულად როგორც ვლაპარაკობთ, ისე ვწერთ და როგორც ვწერთ, ისევე ვკითხულობთ. მაშინ ამის გარდა კიდევ ვიტყვით: ქართველები როგორც ვწერთ

ვე ვბეჭდავთ და როგორც ვბეჭდავთ ვე ვწერთ.

ოების განმარტივება, რასაკვირვე ა, მხოლოდ იმაში არ უნდა მდგო ეობდეს, რომ ყველა ასო ერთ უჯ ანი გბდეს. ამასთანავე ყველა ასო თავისუფლებული უნდა იქნას იმ მეტ ხაზებისა და კაუჭებისაგან, მლებიც ასოებისათვის არაფერს და სიათებელს აღარ წარმოადგენენ და ლოდ მის მოხაზულობას ართულე ან და ერთის მეორისაგან გარჩევას ძნელებენ. მაშინ წერა-კითხვის საქმე თულ ენაში უფრო გაადვილდება, ამით დიდი პედაგოგიური და კულ ტურული საქმე გაკეთდება.

ყოველივე ზემოთ დაწერილში ისე მათ ვიყავ დარწმუნებული, რომ კი წარმომედგინა, თუ მას ვინმე ნააღმდეგი ეყოლებოდა. მხოლოდ მოიშვა საკითხი: როგორ უნდა მოხდეს „თ“-ის, „ფ“ს და „ლ“-ის თ კბილიანად გადაკეთება. ეს ასოები რომ არ ყოფილიყო, დღეს უკვე ქნებოდა, საწერ მანქანებზე მაინც, რტივებული ასოები. მაგრამ რადგან ამ სამ ასოს გამარტივებაც სასურ ლად მიმაჩნდა, ხოლო მათი შეცვლა ჩემის აზრით, ცოტა დიდ ლილების შეტანას ნიშნავდა, მე თავად ეს ვერ გავბედე, გადავწყვიტე და ამის გამო მივმართე კულტურულ საზოგადოებათა კავ რის გამგეობას წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში. აქედან საქმე, რამოდენიმე ხნის შემდეგ, დასცეს ქართულ უნივერსიტეტის ოფესორთა კოლეგიას, რომელმაც ყველივე ცვლილება ქართულ ასოების შევითი მოხაზულობაში ერთხმად რყო. ამით გადაწყდა მაშინ ეს საქმე. ს შემდეგ, რაღა საკვირველია, რომ სრულებით ველარ გავბედე ქართულ ანის ბეჭდვითი მოხაზულობაში რამე ლილება შემეტანა.

დღეს, თითქმის წელიწად ნახევრის შემდეგ, იგივე საკითხი წამოაყენა თვით რა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ.

საქმე იმაშია, რომ ეს საზოგადოება ვის შემუშავებულ პროგრამის მიხედ მრავალ სხვადასხვა დარგის წიგნების გამოცემას აპირებს. ამ ქაღალდის საზოგადოდ, ყოველნაირ მასალის ძვირის ხანაში, თუ კი როგორმე შესაძლებელი იქნება შემცირება ქაღალდისა, ოების მასალისა, შრომისა და სხვ. დენადამ, რომ წიგნის ფასი ნახევრად ნაც ნაკლები გამოვიდეს, ყველა ზემო სახელებულ მოსაზრებას, რასაკვირველია გამომცემლობის მეთაურნი უყურადღებოდ ვერ დასტოვებდნენ. ამიტომ თ. კიკვაძის თავმჯდომარეობით ემბრის 20 მოწვეულ იქმნა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება.

ამ კრებაზე ბ-ნმა ი. პეიშვილმა ქართული ანბანის შესახებ გააკეთა მოხსენება, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ კორექტურის მხრივაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც ძნელია თ კბილიან ასოს შეცვლა ორ და სამ კბილიან ასოთი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ების მიერ ერთხმად აღიარებულ იქნა ქართული ანბნის გამარტივების აუცილებლობის საჭიროება.

კრებამ საჭიროდ დაინახა გაიწიოს ბარიში აგრეთვე ბ-ნ გ. ნიკოლაძის ნიშნას, რომ ასოების ზევითა და ევითა ჩხირებს მოაკლდეს სიმაღლე, ღვან ამითაც საგრძნობელი ეკონომია ნება ქაღალდისა ბეჭდვის დროს.— ი რომ საბოლოო ეკონომია 60 პროც. დააჭარბებს.

კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი მისია, კომპტაციის უფლებით (მიწვევლი იქნებიან მხატვრები და სხვა სა რო პირნი) და დაავალა მას შედგინოს შესაძლებლობის მიხედვით გამარტივებულ ასოების პროექტი და წარადგინოს კრებას ორი კვირის განმავლობაში.

მიხ. შალამბერიძე.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ზოგადო ყურადღება მივაქციო შემდეგ საკითხს.

ქართულს ენაში მრავალი სიტყვაა ითი, რომელიც იწყება მარცვლით „ს“ ან „სა“-ით—ზედშესრული და არსებითი სახელები. როდესაც ვისმეს ოლოდ პირველ ასოების დაწერით ისთანა სიტყვების შემოკლება უნდა, საშინელს მდგომარეობაში ვარდებით: ულებულია სწეროს: „ს. ს. ს. ს.“ და უმოლოდ. გაარჩიეთ, რა სწერია?! ბილითები უპეველად ყველას მოპარული აქვს და მათი წერა ზედმეტად მაჩნია.

ამას რამე უნდა ეშველოს, და ეს ც ისე ძნელია. ბერძნულს ენაში ხმოვან ასოზე პატარა კაუჭის დასმით ოვანი გამოითქმის ბგერა „ჰ“ ეს წაგებით. სხვადასხვა ნიშნების ხმარება ოთმის ყველა ენებშია შემოღებული. ეით ჩვენს ძველ ნაწერებში ყველგან ბევდვითი ქარაგმებს. არც ეხლანდელ რომში სწერს ვინმე სრულიად გამოთქმებს: „ესე იგი“, „მაგალითად“, „და სხვა“—ყველა ესენი შემოკლებით იბეჭდება. საჭიროა ეს პრინციპი განვითარდეს არა მხოლოდ ისეთ სიტყვებზე, როგორიც არის „სხვადასხვა“, „მაშასადამე“... არამედ ისეთებზედაც, რომლებიც იწყება „სა“ და „სი“ თ. ამისათვის საკმარისია იწერებოდეს მხოლოდ სიტყვის მესამე ასო ამა თუ იმ ნიშნით იმის მოსაგონებლად, რომ დაწერილს ასოს წინ წავიდა მარცვალი „სა“ ან „სი“ (—ასეთ ნიშნებად შეიძლება იხმარებოდეს ერთი წერტილი და ერთი მძიმე, ან ორი პატარა რკალი: ერთი ზევით და ერთი ქვევით მოხრილი). მაშინ ერთი ასო რომელიმე ნიშან დამატებული მთელს სამ ასოიან მარცვალს წარმოადგენს და შემოკლებულ სიტყვის გაგება ძალიან გაადვილებული იქნება. (წიგნებში შეიძლება ეს პირველი მარცვლები ყველა სიტყვას შეეკვეცოს.)—ამით ქართულ წერას ახალი ღირსება შეემატება.

მ. შ.

— არ შეიძლება აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება არ მიექცეს იმ ყოვლად საძაგელ წარწერებს, როგორც ასოთამოხაზულობის, აგრეთვე ენის მხრივ, რომლებითაც დღითი დღე იმკობა ქალაქის ქუჩები.

მ. შ.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში

28 ნოემბერს შესდგა მორიგი სხდომა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი ამხ. ა. ხელაძის თავმჯდომარეობით. დღის წეს რიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება დედათა და ბავშვთა მფარველობის საკითხზე, 2) მოხსენება სოკოლოვისა კურორტების და აგარაკებისთვის შენობების გამოძებნის შესახებ, 3) მოხსენება შრომის ბირჟაზე, 4) დამატებითი არჩევნები სეკრეტარიატის წევრებისა და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს დედათა და ბავშვთა მფარველობის საზ. წარმომადგენელი, რომელიც ამბობს, რომ ამ საზოგადოებამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, მოაწყო ქარხნებში ბავშვთა თავშესაფარი, აგრეთვე დედების დახმარება მშობიარობის დროს. დაარსდა „კონსულტაციები“, საიდანაც აძლევენ ყოველივე რჩევას. მუშტაიდში არის ბავშვთა სახლი, სადაც დედებს შეუძლიანთ დასტოვონ ბავშვები ქარხნებში მუშაობის დროს. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: რადგანაც დედათა და ბავშვთა მფარველობის საკითხი არის მჭიდროთ დაკავშირებული მუშათა ოჯახებთან, ამიტომ საბჭო ერთხმათ ადგენს შეუწყოს ხელი მატერიალურათ და მორალურათ, აგრეთვე ყველა მუშა ჩაეწეროს წევრათ ამ საზოგადოებაში. წარმომადგენლათ არჩიეს ჩიქოვანი, კან. საფაროვი.

მეორე კითხვაზე მდივანი ვ. ჩხენკელი კითხულობ სოკოლოვის ვრცელ მოხსენებას, რომელიც მეტი წილი ეხება კურორტების მშვენიერებას, მის მნიშვნელობას „ტურისტებისათვის“ და ძალიან ცოტა ალაგს უტოვებს თავის მოხსენებაში კურორტების მნიშვნელობას მუშებისათვის. კამათში მონაწილეობა მიიღეს: აიოლომ, ხელაძემ, დობორჯგინიძემ, საფაროვმა, ცვანგერმა და სხვ.

ირკვევა, რომ ყველა პირველხარისხოვან სააგარაკო ადგილებში არის დარჩენილი ბინები, რომლებიც, შეკეთების შემდეგ დიდ სამსახურს გაუწევდენ ავადმყოფ მუშებს, რომლებსაც შეეძლებოდათ მოშორებოდენ გაჭვარტლულ ქარხნებს და ისარგებლებდენ, მოკლე ვადით მაინც, სუფთა ჰაერით და წყლით. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ნ. სოკოლოვისა, ვიღებთ მას მხედველობაში, რაც შეეხება მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ეხება მუშათათვის ბინის მიცემას და მათი სამკურნალოთ აგარაკებზე გაგზავნის საქმეს, მიენდოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირების ცენტრს, რომელმაც მოიწვიოს სოკოლოვი, საავადმყოფოს სალაროს თავმჯდომარე და მდივანი, რომელნიც გამოიმუშავებენ და წარუდგენენ საბჭოს დასამტკიცებლათ გამორკვეულ და დასაბუთებულ მოხსენებას.

მესამე კითხვაზე აკეთებს მოხსენებას გიკი, რომელიც ამბობს, რომ ახლო მომავალში უნდა გაირჩეს დამფუძნებელ კრებაში საკითხი შრომის ხელშეკრულებას შესახებ, რომ ყველა უმუშევრები უნდა ეწერებოდენ შრომის ბირჟაში, და ის უმუშევართა ბიუროები, რომლებიც არსებობენ პროფესიონალურ კავშირებთან და კერძო პირებთან, უნდა მოისპონ, რადგანაც უმუშევართა საკითხი არის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე და არ ვიცით, დაქუცმაცების მიზეზის გამო, თუ რამდენი უმუშევარი გვყავს და რა სპეციალური სწავლის და საქმის მცოდნე, ამიტომ საჭიროა პროფესიონალური კავშირების საბჭომ გამოიტანოს თავისი შეხედულება და დამოკიდებულება. არსებითათ ამ კითხვის გარჩევა გადაიდო შემდეგი კრებისთვის და დაევალა გიკს შრომის ბირჟის რეორგანიზაციის შესახებ გააკეთოს ვრცელი მოხსენება, სადაც დაესწრებიან შრომის სამინისტროს და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები.

მეოთხე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს დობორჯგინიძე, რომელიც ამბობს, რომ ამ ბოლო დროს სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ ესწრებიან სეკრეტარიატის სხდომებს სამი წევრი; მათ ნაცვლად არჩეულ იქნენ ბერეჟიანი, კოკოჩაშვილი და ელიაძე; კანდ. თამაზაშვილი, ბიბილეიშვილი, ავეტკოვი და ვადაჭკორია.

საფაროვს შეაქვს შეკითხვა პროლეტარული ფრონტის დღის ანგარიშის შესახებ, გადაწყდა შემდეგი სხდომისთვის ს ბჭომ მთელი ანგარიში განიხილოს.

ზეთისა და საპნის მუშათა კავშირის თავმჯდომარე მოითხოვს გადასინჯულ იქნას ხელფასის მომატების საკითხი. გადაწყდა სეკრეტარიატში შეიტანონ ეს საკითხი. სეკრეტარიატმა თავის დასკვნითურთ გადმოიტანოს საბჭოში განსახილველათ.

ა. ხელაძე აცნობს საბჭოს მუშათა კლუბთან არსებული სასადილოს მუშების სალიკვიდაციო ფულის მიღების საქმეს და ამბობს, რომ სალიკვიდაციო კომისიამ თავის მოხსენებაში დაამტკიცა, რომ ის ზარალი, რომელიც მოუვიდა სასადილოს, იყო მუშების ბრალი; ამიტომ ჩვენ მომრიგებელ კამერაში დავიცავთ იმ შეხედულებას, რომ მათ მიეცეთ სალიკვიდაციო მხოლოდ ნახევარი და ბოლოს საბჭომ გადასწყვიტა შესაფერი ზომები იქნეს მიღებული იმ კავშირების წინააღმდეგ, რომლებსაც არ შემოუტანიათ ხვედრი ავანსი კავშირების ბინების შეკეთებისათვის და გათბობისათვის.

თ. ლაცაბიძე.

უცხოეთი

რუსეთი.

მოხალისეთა ჯარის მდგომარეობა პეტროგრადთან. გენ. დობრიანსკიმ გაზ. „მორინგ პოსტ“ ის თანამშრომელთან საუბრის დროს, შემდეგი განაცხადა: ხალხი ჩვენ ბევრი გვყავს, მაგრამ არა გვაქვს ტანისამოსი. აფიცრები და ჯარისკაცები ძონძებში დადიან. ინგლისი გვეხმარება, მაგრამ ვილაცის ბოროტი ხელი ცდილობს ჩვენს შორის ორმო გათხაროს. ხშირათ ხდება, მაგალითად, რომ ინგლისელები გვიგზავნიან სხვადასხვა ნივთებით ნატვირთულ გემებს. სანამ ეს გემები ჩვენთან მოაღწევს, უცებ მათში წყალი იწყებს დენას და იძულებული ხდებიან გერმანიისა და ნიდერლანდიის ნავთსადგურებში დადგენ. იქ კი საქონელი იკარგება სანახევროთ. აგრეთვე მოგვდის ისეთი აეროპლანები, რომლებსაც „მოტორები“ გაფუჭებული აქვთ და სხვა.

ებრაელთა დარბევა უკრაინაში. საინტერესო ცნობებს შეიცავს ებრაელთა დელეგაციის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა 26 ნოემბერს ბაქოში ებრაელთა საზოგადოების კრებაზე დელეგაციის წევრის—კუჩერსკაიას მიერ. დელეგაცია გამოგზავნილია ქ. ელისავეტგრადში მოწყობილ დაზარალებულ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მიერ და მიზნათ ისახავს შემოწირულება შეაგროვოს ამიერ კავკასიაში. მომხსენებელის სიტყვებით დელეგაციაში მხოლოდ ქალები შედიან, რადგანაც არც ერთ მამაკაცს არ შეუძლია „დობროვოლია“ ს სამეფო გაიაროს; მოხალისეები მათ იჭერენ და უმრავლეს შემთხვევაში ჰკლავენ. დარბევა უკრაინაში საშინელ სურათს წარმოადგენს: დამრბევები ხვრეტენ ბავშვებს დედის თვალწინ, ლეჯრსმავენ თავიანთ მსხვერპლის თავს, მკერდს და სხეულის სხვა ნაწილებს; ამასაც არ ჯერდებიან და ჰრილობაში შუშის ნატეხებს სდებენ და სხ. მსხვერპლთა რიცხვი დიდია; მარტო ქ. ელისავეტგრადში დარბევის შემდეგ 3,000 გვამი ეყარა. ეხლანდელი დარბევის დამახასიათებელი თვისება, მომხსენებლის აზრით, ის არის, რომ მის მოწყობაში ხშირათ ინიციატორათ და ხელმძღვანელათ ინტელიგენცია გამოდის; ბევრ ალაგას დარბევა მოაწყვეს მემამულეთა შვილებმა, პედაგოგებმა და სხ. ებრაელებს არ არბევენ ამა თუ იმ რწმენისთვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ებრაელები არიან.

საფრანგეთი.

ხალხთა ლიგაში შესვლის პირობები. უმაღლესმა საბჭომ მიმართა ნეიტრალურ სახელმწიფოებს განმარტებით იმის შესახებ, თუ როგორი პირობებია საჭირო ხალხთა ლიგაში შესასვლელათ. ხალხთა ლიგაში წევრათ შესვლა შეუძლიათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უსიტყვოთ მიიღებენ საზავო ხელშეკრულებას. ჯერ ჯერობით ასეთი სახელმწიფოებია (რომლებიც ჩამოთვლილია ხელშეკრულების დამატებაში): არგენტინა, ჩილი, კოლუმბია, დანია, ისპანია, ნორვეგია, პარაგვაი, ნიდერლანდი, სპარსეთი, სალვადორი, შვეცია, შვეიცარია და ვენეცუელა. ამ სახელმწიფოებმა ორი თვის განმავლობაში უნდა წარადგინონ თავიანთი დეკლარაციები.

საზავო კონფერენციის უახლოესი მიზნები. გაზ. „ლანტანტ“ ის აზრით, საზავო კონფერენციის უახლოეს მიზნებს შეადგენს აღმოსავლეთის საკითხის დეტალურათ განხილვა. რუსეთის საკითხის გადაჭრა, გაზეთის სიტყვით, არ შეადგენს კონფერენციის პირდაპირ მიზანს; მიუხედავათ ამისა, უკანასკნელი დიდ ყურადღებას აქცევს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს.

ინგლისი.

ქალთა უფლება. გაზ. „მატ“-ის ცნობით ინგლისის თემთა პალატამ 171 ხმით 84 ის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც ქალებს უფლება ეძლევათ არჩეული იქნენ ლორდთა პალატის წევრათ და ისარგებლონ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

გაფიცვის მიერ გამოწვეული ხარჯი. ოსტენ ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ რკინის გზელთა გაფიცვამ 360 მილ. ხარჯი გამოიწვია. პალატის წევრმა ბოტომლეიმ ამის გამო განაცხადა, რომ იგი შეიტანს კანონპროექტს, რომელიც გაფიცვის დასჯას მოითხოვს, თუ ის წინასწარ გაუფრთხილებლათ იქნა გამოცხადებული.

ნახშირის ნაკლებობა ინგლისში. ინგლისში ამჟამათ ნახშირის დიდი ნაკლებობაა. ამის მიზეზათ იორკშირში მომხდარი გაფიცვა უნდა ჩაითვალოს, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოაცხადეს ნახშირზე მომუშავეებმა და რომელშიაც 200 ათას მუშამ მიიღო მონაწილეობა. ბევრ ალაგას ნახშირის უქონლობის გამო გაჩერებულია ფაბრიკა-ქარხნები, მუშები ათი ათასობით სამუშაოს ჰკარგავენ. მუშაობის შეჩერების გამო ბევრი მაღაროები წყლით გაივსო; მთავრობა ენერგიულ ზომებს მიმართავს, რათა კრიზისი აცილებულ იქნეს და გზავნის მეზღვაურებს მაღაროებიდან წყლის ამოსაწურათ. პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში მუშათა პარტიის წარმომადგენელი მოუწოდებდა მუშებს დაეწყოთ მუშაობა, რათა აცილებულ იქნეს ქვეყნის გაკოტრება. „ნახშირი, სთქვა მან, ეხლა უფრო ძვირფასია, ვიდრე ოქრო“. ასეთივე წინადადება მისცა მუშებს ტრედიუნიონების საბჭომაც. ამჟამათ გაფიცვა თით ქმის გათავებულია.

ავსტრია.

ავსტრიის დანაწილება. ვენიდან მოსული ცნობებით იქ დამთავრებულა ავსტრიის პროვინციათა წარმომადგენლების კონფერენციის მუშაობა, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა საკითხები ჯარის, კონსტიტუციისა და სასურსათო საქმის შესახებ. კონფერენციის მუშაობის შედეგები ვერავითარ ნუგეშს ვერ იძლევა: სეპარატიზმის მომხრეებმა სძლიეს ფედერაციის მომხრენი და მოსალოდნელია დიდი პოლიტიკური კრიზისი, რაც ქვეყნის ფიზიკური არსებობას უმზადებს საფრთხეს. ბევრ ალაგს ადმინისტრაცია არ ემორჩილება ცენტრალურ მთავრობას. გაზ. „ნოვ. დენ“-ის სიტყვით, იმ ანარქიას, რომელიც დღეს ბატონობს ავსტრიაში, ხვალ მოჰყვება სახელმწიფოს სრული დაშლა.

აზერბეიჯანი

მუშათა დაპატიმრების შესახებ. 25 ნოემბერს პარლამენტის წევრმა პეპინოვმა ინახულა გენ. გუბ. ტლეხასი, რომელთანაც საუბარი ჰქონდა მუშათა კლუბში დაპატიმრებულ მუშების შესახებ. ტლეხასის განმარტებით, მუშათა დაპატიმრება გამოიწვევია იმ გარემოებას, რომ თითქოს კლუბში ხდებოდა რაღაც ფარული კრებები, არ უშვებდენ კლუბში გარეშე საზოგადოებას და სხვ. პეპინოვის განმარტებებმა დაარწმუნა გენ. გუბ. ასეთ ცნობების სიყალბეში და უკანასკნელმა აღუთქვა, რომ დაპატიმრებული 40 კაცი განთავისუფლებული იქნებიან.

ბაქოს გაწმენდის შესახებ ტლეხასმა განაცხადა, რომ ამ ზომას არავითარი პოლიტიკური მიზანი არა აქვს და გამოწვეულია მხოლოდ სურსათის ნაკლებობით.

საბაჟო გადასახადი. ოქტომბრის განმავლობაში საბაჟო გადასახადი შემოსულა სულ 19,166, 441 მან.; აქედან ბაქოს საბაჟოზე მოსდის 18,721,045 მან. საერთოდ ყველა საბაჟო გადასახადებიდან აღნიშნულ თვეში შემოსულა 20,178,065 მანეთი.

რუსეთის ბალშევიკები და ვილჰელმის მთავრობა

„ოდესკი ლისტოკში“ გამოქვეყნებულია ზოგიერთი საბუთები იმის შესახებ თუ როგორ განწყობილებაში იყვნენ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საბჭოთა რუსეთი და იმპერატორ ვილჰელმის ჯარების სამხედრო შტაბი. ქვემოთ მოყვანილი ცნობები გამოქვეყნებულია სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ წევრის და ახლა პარიზის რუსული კომიტეტის წევრის ალექსინსკის მიერ.

1917 წ. 1 ნოემ., სწერს ბ. ალექსინსკი—გერმანიის გენერალური შტაბის რუსული განყოფილების უფროსი მოწერილობას უგზავნის სახალხო კომისრების საბჭოს, რათა მათ „დაჩქარებით აცნობონ დანამდვილებითი ცნობები“, თუ რამდენია ამერიკიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან შემოტანილი სამხედრო მასალა. ასე რომ, თავის წარმოშობის პირველ დღიდანვე კომუნისტური მთავრობა გერმანიის შპიონაჟით და მზვერავათ ხდება რუსეთში.

1917 წ. 20 ნოემ., გერმანიის გენერალური შტაბის რუსული განყოფილება „აქვს პატივი სთხოვოს საგარეო საქმეთა კომისარიატს“—დააჩქარონ აგიტატორების გაგზავნა გერმანიის რუსულ სამხედრო ტყვეების ბანაკებში. აგიტატორების მიზანი იქნება შეკრიბონ მოხალისეები, რომლებიც უნდა გაემგზავრონ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებში თვალ-ყურის სადევნებათ და „სამშვიდობო პროპაგანდის გასაწევათ“.

„თვალყურის გდება, ესე იგი შპიონობა და სამშვიდობო პროპაგანდა“ მძლავრათ შერეულია ერთმანეთში ბოლშევიკებისა—გერმანიის მუშაობაში.

1918 წლის 5 იანვარს „პეტროგრადის“ კომისარი ანტონოვი № 32-ით „სთხოვს საგარეო საქმეთა კომისარიატს პირადობის მოწმობა მისცენ იმ ამხანაგებს, რომელნიც მოკავშირეთა სახელმწიფოებში მიემგზავრებიან სამშვიდობო პროპაგანდის გასაწევათ“. ინგლისში მიემგზავრებოდენ: ადოლფი რიბბო, ილია ურიცკი და ვლადისლავი დაშკევიჩი; საფრანგეთში—რიმმე ორლოვისა და ცნობილი ოხრანნიკი ვლადიმერი შნეური; ამერიკაში—ისაი კანი, მარკ გრიცკერი და სოფიო მეკი. ანტონოვმა აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს, რომ „გასაგზავნთა განკარგულებაში იქნება ფული, რომლითაც ისინი პრესის საშუალებით ბრძოლას აწარმოებენ ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების იმპერიალისტების წინააღმდეგ“.

1918 წლის იანვრის დასაწყისში ბოლშევიკების უმაღლეს მთავარ სარდალმა კრილენკომ გერმანიის უმაღლეს სარდლობიდან მიიღო წინადადება „გერმანიის მთავარ შტაბის განკარგულებაში რევოლიუციონური ჯარიდან გაიგზავნოს ათი საიმედო აფიცერი სამხედრო ტყვეების ბანაკებში სამშვიდობო იდეების გასავრცელებლათ; ამასთანავე გერმანიის შტაბი მიუთითებს, რომ სასურველია ამხ. ბეგალეტოვის, სემაშკოს, სახაროვისა და ვლოდარსკის გამოგზავნა“.

1918 წლის 21 იანვარს ბოლშევიკების კონტრ მზვერავთა გამგემ აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს, მოგილევში გერმანიიდან გერმანელ აფიცრების ჩამოსვლის შესახებ. ზენევალდის, ფონ-ვეინეს, პაბასტა, მეიკრი, გრინვალდი და შილლინგისა, რომლებიც გაგზავნილია გერმანიის შტაბის მიერ ინგლისში, საფრანგეთში და ამერიკაში. სახალხო კომისარი ტროცკის მოთხოვნილება მათ ჩააბარეს მოგილევში გამოგზავნილი პასპორტები. ფონ ვეინე მიემგზავრებოდა ინგლისში კოპენჰაგენში მოვაჭრე განსენის პასპორტით; შილლინგი შეერთებულ შტატებში ნორვეგიელ ექიმ იოსები ვრუნას პასპორტით; გრინვალდი საფრანგეთში ლატიშელ ივანე კალნინის რუსულ პასპორტით.

1918 წლის 10 იანვარს გერმანიის ზღვის აგენტი პეტროგრადში კაპ. მ. მიულერი, ჩინეთიდან მიღებულ ბრძანების თანახმად, მიმართავს სახალხო კომისართა საბჭოს თხოვნით, რათა გერმანელ ჯაშუშთა განკარგულებაში გადასცენ რამოდენიმე გემები, რომლითაც შესაძლებელი იქნება შპიონების მიერ ნაჩვენები პირები და ტვირთის გადაგზავნა შეერთებულ შტატებისა და იაპონიის ნავთსადგურში და ბრიტანეთის კოლონიაში. „გემების გაგზავნის მიზანია“, სწერს მიულერი, „რომ მოწინააღმდეგე მხარეში შეიყვანონ აგენტები აგიტატორები. მთელ ხარჯებს გერმანიის უმაღლესს საზღვაო სარდლობა იღებს საზღვაო ოპერაციის ხარჯების ანგარიშში“.

ოთხი დღის შემდეგ იგივე მიულერი მიმართავს სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით „მიიღონ ზომები, რათა დარღვეულათ რკინისზით წყნარ ოკეანესთან მიიტანონ გერმანელთა სამი წყალქვეშა ნავები “

1918 წლის 24 თებერვალს გერმანიის გენერალური შტაბის რუსულ განყოფილების უფროსს „აქვს პატივი სთხოვოს“ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რომ „დაჩქარებით მოახდინონ ანკეტა, თუ რომელი სავაჭრო გემები, დამხმარე კრეისერები და ტრანსპორტები შეიძლება გაიგზავნოს წყნარ ოკეანეს წყლებში, სადაც გერმანიის მთავრობას აზრათ აქვს შექმნას ამერიკა-იაპონიის ვაჭრობასთან საბრძოლველად ძლიერი ერთი კომერციული ფლოტი, რომელიც რუსული დროშით იცურავებს“.

ამასთანავე ერთად ბ. რაუში სწერდა იმავე საგარეო საქმეთა კომისარს შემდეგს:

„გაცნობებთ, რომ ბალტიის ფლოტზე თქვენი მატროსები ყიდიან [illegible] გემების კატერებს, წვრილ მექანიზმებს, მაშინის [illegible] ლებს და სხვ. ამიტომ [illegible] იქნება აღძრათ კითხვა, რომ ეს დატაცებული და დანგრეული გემები გერმანიას მიყიდონ. კეთილ ინებეთ და მთავრობის გადაწყვეტილება მაცნობეთ“.

გამოურკვეველია, როგორი იყო ბოლშევიკურს „მთავრობის“ გადაწყვეტილება, გამოურკვეველია პირველათ, რომ ტროცკი, თავის უახლოეს თანამშრომლის მარკინის საშუალებით სპეციალურათ ამ კითხვით იყო თუ არა დაინტერესებული და, მეორე, რომ კაპიტანი შჩასტნი ბალტიის ფლოტის გერმანელებისაგან დახსნისათვის იქნა დახვრეტილი, რომელმაც ბალტიის ფლოტი ჰელსინგფორსის ყინულებით კრონშტადტში გამოიყვანა. კაპ. შჩასტნი მოუთხრობდა თუ რდგორ ძალდობას მიმართავდა ფლოტის კომისარი ფლეროვსკი, რომ შჩესტნისათვის ხელი შეეშალა ფლოტის გერმანელთა დატაცებისაგან დახსნაში.

როგორც ზემოთ მოყვანილ მარკინის მიერ რაუშისადმი მიწერილ წერილიდან სჩანს, ბალტიის ფლოტის გერმანელებისადმი მიყიდვის კითხვის გარჩევაში მოწვეულ იქნა რასკოლნიკოვიც. საერთოდ, მოყვანილ საბუთებში ბოლშევიკური გადატრიალებისა და ბოლშევიკური რეჟიმის თითქმის ყველა თვალსაჩინო მოღვაწენი გამოყვანილი არიან, როგორც სახელმწიფოს ღალატის პირდაპირი მონაწილენი და ვილჰელმი მეორისა და მისი გენერალური შტაბის პირდაპირი დამხმარე.

იუსტიციის სამინისტროში

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა ბორჩალოს მაზრაში. იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე ბორჩალოს მაზრის ერობის გამგეობამ აუწყა სამინისტროს, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები დანიშნულია ნოემბრის 7-ს. თავისუფალი ვაკანსიები არის. მსურველთ თხოვნები ყველა საჭირო საბუთებით (განათლების ცენზი, ნამსახურობის სია და სხვ.) უნდა გაუგზავნონ საერობო გამგეობას ეკატერინოფელდში. მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირები ახალ შტატით თვეში 4.000 მანეთს უდრის.

ხაშურის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დაბარება. რადგან გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხაშურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე სხირტლაძე შეუწყნარებელს დაუდევრობას იჩენს და რამდენისამე თვის განმავლობაში არ შესდგომია საქმეების გარჩევას, იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დეპეშით დაიბარა მოსამართლე სხირტლაძე სამინისტროსთვის პირად განმარტების წარმოსადგენად.

თფილისის გამომძიებელთა კამერებით უზრუნველყოფა. იუსტიციის სამინისტრომ მიმართა თფილისის ქალაქის გამგეობას თხოვნით, რათა თფილისში მოსახლე გამომძიებლები უზრუნველყოფილ იქმნან რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ ბინებით კამერების მოსაწყობად, რადგან დღეს მათს განკარგულებაში მყოფი ბინები ყოვლად უვარგისია და მეტის-მეტად შევიწროებული, რაც ხელს უშლის საგამომძიებლო საქმის რიგზე დაყენებას.

ნაფიც მსაჯულთა სიები. ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დეპეშით აცნობს იუსტიციის სამინისტროს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ყველა მაზრების ერობებმა წარუდგინეს სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიები. სიები ჯერ არ წარმოუდგენიათ სოხუმის ოლქის და თფილისის გუბერნიის ზოგიერთმა სამაზრო ერობებმა, რის გამო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საკითხი შეფერხებულია.

მომრიგებელ მოსამართლის კამერის გახსნა ს. საგარეჯოში. იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ დეპეშის თანახმად, ნოემბრის 25-ს ს. საგარეჯოში გაიხსნა მომრიგებელ მოსამართლის კამერა.

ბორჯომში მომრიგებელ მოსამართლის კამერისათვის. იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე, რა მიზეზითა ბრკოლდება მომრიგებელ მოსამართლის კამერისთვის საჭირო ბინის დათმობა ქ. ბორჯომში, ბორჯომის ერობამ დეპეშით აცნობა სამინისტროს, რომ უკვე აძრულია შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დამტკიცებულ იქნას ერობის დადგენილება მომრიგებელ მოსამართლის კამერისთვის საჭირო შენობის რეკვიზიციის შესახებ. იუსტიციის სამინისტრომ თავისი მხრივ სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება.

პალატის პროკურორის თანამდებობის ჩაბარება. სასამართლო პალატის

პროკურორად დანიშნულმა მ. ა. ტატიშვილმა ნოემბრის 21 ს ჩაიბარა თანამდებობა პალატის ყოფილ პროკურორის, აწ სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის ა. ს. მელაგარიშვილისაგან.

ოლქის სასამართლოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლება. თფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ნ. ს. ჩხეიძე განთავისუფლებულია სამსახურიდან, თანახმად მისის თხოვნისა. ნ ნი ჩხეიძე მიწვეულია საქართველოს რკინის გზათა სამართველოს იურისკონსულტის თანაშემწედ.

რევიზია. ზოგიერთ თფილისის გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა თფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის გ. ა. ნატროშვილის კამერის რევიზიის შესახებ. როგორც გამოირკვა, ეს რევიზია ყოფილა დანიშნული იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით და გამოწვეული ყოფილა ამ კამერაში ერთი საქმის დაკარგვით, რომელიც შემთხვევით მოეთხოვა სამინისტროს კამერიდან.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 22 ნოემ. შესდგა საქ. ს.-დ. ქალთა კომიტ. მორიგი სხდომა, მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგი: 1) პარტიული მუშაობა, 2) დედების და ბავშვების დაცვის საზოგადოება, 3) მკერავ ქალთა პრ. კავშირის შესახებ, 4) გვარდიის დღე. 5) ნივთიერი საშვალება და 6) მიმდინარე კითხვები.

პარტიულ მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა ც. დ-ის წინადადება მოეწყოს უბნებში საერთო კრებების გარეშე იაჩეიკებში მეცადინეობა, რომლისთვისაც უნდა შემუშავდეს სამეცადინო პროგრამა. პროგრამის შესამუშავებლათ არჩეულ იქნა 3 კაციანი კომისია, რომელშიაც შედიან: მ. ტოროშელიძისა, მახვილაძისა და სოლოღაშვილი.

დედობისა და ბავშობის დაცვის საზოგადოების შესახებ კრებამ დაადგინა: მომ. წლის შემდეგი შაბათისთვის (29 ნოემ.) შეერთებული კრება კოლექტივებისა და კომიტეტის წევრებისა, სადაც მოხსენებას გააკეთებს ხსენებული საზ. შესახებ საზოგ. თავმჯდომარე ი. ჟორდანიასი.

მკერავ ქალთა პრ. კავშირის შესახებ კრებამ დაადგინა უხელმძღვანელოს 23 ნოემბერს პირველ რაიონის კავშირის კრებას.

გვარდიის დღის შესახებ დაადგინა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა გვარდიის დღის მოწყობაში, რომლისთვისაც არჩეული იქნა 3 ქალი: მ. ტოროშელიძისა, ც. დარახველიძე და მ. ბერიანიძე.

ნივთიერ საშვალების გასაძლიერებლათ კრებამ სასურველად სცნო სალამო ლექციების მოწყობა და საწევრო გადასახადის დროზე გადახდა.

ც. დ.

ქ. ქუთაისში შემდგარ სერგო ლაბაძის პროცესზე, ზოგიერთმა არამკითხე მოქალაქემ თავი გამოაცხადა ჩვენი პარტიის წევრად და მოწმობაში აჩვენა ვითომც ყველა ბოროტებები ექსპროპრიაცია და სხ. მოქ. ლაბაძეს ჩადენილი ქონდეს ს.-დ. პარტიის ორგანოების კანონით და მათი წევრების სასარგებლოთ, რომელნიც გადახვეწილნი იყვნენ რეაქციის დროს. კომიტეტი სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი არა საკადრისი საქციელის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მოქ. სერგო ლაბაძე არასოდეს ს.-დ. პარტიის წევრი არ ყოფილა. ხსენებულ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებიც ცხადია შეეცადენ სასამართლოსათვის გზა აერიათ კომიტეტი მიიღებს სასტიკ ზომებს სათანადო ორგანოების საშვალებით, რისთვისაც გამოთხოვილია მათი ჩვენების ასლი.

შორაპნის სამაზრო კომიტეტი.

ხიდ. ნავთლუღი (კახ. რკ. გზა). 20—27 ნოემბრის კრებებზე მეხუთე რაიონის კოლექტივში გაირჩა შემდეგი კითხვები. მოხსენება გააკეთა ამხ. სერგო ჯინჭველაშვილმა, თუ რა კითხვები გაირჩა თფილისის კომიტეტში. კრებამ მოისმინა რა მოხსენება იზიარებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ბოლშევიკური გამოსვლების შესახებ კრებამ მოიწონა მთავრობის გადადგმული ნაბიჯი. კოლექტივმა დაადგინა: 3 დეკემბერს, დღით ოთხშაბათს, დღის 3 საათზე მოწვეულ იქნას საერთო კრება, სადაც მომხსენებლათ მოწვეულ იქნას დღევანდელ მომენტზე ამხ. ნოე რამიშვილი. 5 დეკემბერს მოხდეს შეერთებული კრება კოლექტივის და კავშირის ფრაქციის, სადაც შემუშავებული უნდა იქნას კანდიდატთა სია, როგორც კავშირის გამგეობის, აგრეთვე სხვადასხვა ფუნქციებისთვის,

მდივანი ლ. ახობაძე.

ხიდგ. რგანი. 13 ნოემბერს შესდგა რგანის კოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრო კოლექტივის მთელი შემადგენლობა და პარტიის სხვა წევრები. თავმჯდომარეობდა ამხ. დ. სამხარაძე პასუხსაგებ კორესპონდენტათ ერთხმათ იქნა არჩეული ვ. ჰარხალაშვილი. მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კაპანაძემ თანამედროვე მომენტზე და ბოლშევიკების გამოსვლებზე.

სამკითხველოს შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ხვედელიძე. კრებამ დაავალა ვ. ჰარხალაშვილს გაუკეთოს რევიზია სამკითხველოს და თუ მართლა ცუდათ მიდის საქმე, აცნობოს კოლექტივს. კრებამ დაადგინა ნდობა გამოუცხადოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

ვ. ჰარხალაშვილი.

იგრის რაიონი (თფილ. მაზრა). 16 ნოემბერს მოხდა იგრის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა ყრილობა. კრებას დაესწრენ პატარძეულის, ხაშმის, სართიჭალის და სხვა სოფლების წარმომადგენლები რიცხვით 60 კაცამდე. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. ვანო მაისურაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) სოციალდემოკრატია და მისი მიზანი, 2) მოხსენება მომენტზე, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) რაიონული კოლექტივის არჩევნები, 5) მიმდინარე კითხვები. მოხსენებას პირველ კითხვაზე აკეთებს ამხ. ლადო კაკაბაძე, შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლუცია.

დღევანდელ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მაისურაძე მან მოუწოდა დამსწრეთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დენიკინ-კომუნისტ ყაჩაღ დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცების წინააღმდეგ. შემდეგ ამისა დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან. პარტიული ორგანიზაციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მიხა ჯილაური, რომელიც აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს მუშაობას ბევრი დაბრკოლებები ხვდებოდა პატარძეულში, პარტიული მუშაობა არ შეჩერებულა ერთი წუთითაც. ორგანიზაციაში ითვლება ასი წევრი. ს. ხაშმიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. ზუდკიშვილი, რომელიც ამბობს, რომ პარტიული მუშაობა სწარმოებს, კრებები კვირაში ერთხელ ხდება. ითვლება 90 წევრი. ს. სართიჭალიდან ილაპარაკა ამხ. თედო გურგენიძემ. ს. სართიჭალაში არსებობს ათი კაციდან შემდგარი მარქსისტთა ჯგუფი, რომლის მეთაურობით დაარსდა სახ. გვარდია. რეგისტრაცია არ სწარმოებს და მომავალში შევეცდებით.

შემდეგ გააკეთა მოხსენება გერმანელმა ფრიდრიხ მილლერმა და სხვებმა.

საერთოდ გამოირკვა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების წყალობით ყაჩაღების გამოსვლებს იგრის რაიონში ადგილი არ ჰქონია.

შემდეგ მოხდა რაიონული კომიტეტის არჩევნები. ფარული კენჭის ყრით გავიდენ შემდეგი პირები: ვანო მაისურაძე, მიხა ჯილაური, თედო გურგენიძე, ალექსი ბულანიშვილი და ფრიდრიხ მილლერი. ყრილობამ დაადგინა მისა სალმებელი დეპეშა გაეგზავნოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

ლადო არტუშკოვი.

მუშათა შორის

თფილისი. 1919 წელს ღვინობისთვის 26 იყო გამართული ვერის მუშათა კლუბში ამავე კლუბის ფონდის გასაძლიერებლად სალამო წარმოდგენით „სოფლის ექიმი". შემოსავალი იყო: გაყიდული ბილეთების—1238 მან., კონტრომარკების—170 მან., ყვავილების —133 მან., აუქციონის 1400 მან., ბუფეტიდან—1904 მან. 40 კ. შემოწირულება—1910 მან. სულ შემოვიდა—6735 მან, აქედან დაიხარჯა: აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა 100 მან., ს პატიო ბილეთების დაბეჭდვა 40 მან. გასამრჯელო მსახიობ ანკარის 150 მ., სუფლიორს 120 მან. სულ დაიხარჯა—410 მანეთი, დარჩა ნაღდი ფული სულ 6325 მან.

სალამოს მომწყობი კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა მათ, ვინც შემოსწირა საპატიო ბილეთების სახით: 500 მან კალანდაძე, ას ასი მანეთი: ხომასურიძე ვას, ენუქიძემ, თოდრიამ, ირემაშვილი ფ., რუხაძე მ., ბუკია, მამულოვი მიხ. ხუთ ხუთი თუმანი: მამულოვი მიხ., ათაბეგი დ., ჯაბაშვილი ა., მაისურაძე ნ., კიკნაძე დ., შალვაძე ა., ძიძიშვილი, ბერიძე ივ., ჯაფარიძე კ., კვავაძე თ., ლებანიძე მ., კერვალიძე გ., ჯიბლაძე ს., ჯუღელი, აუშროვი რ. ოცდა ხუთი მანეთი: ადამოვი მიხ. და გოჩიტაშვილი ან სალამოს მომწყობი კომისია აგრეთვე ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირებს, ვინც ღმოეხმარა დახმარება რითაც კი შეეძლოთ; დები ან. და ნ. კიკნაძეებს, მ. უთმელიძე, ევ. კუტივაძე, გ. კერვალიძე, ნ. ხომასურიძე და სხ.

ხაზინადარი ნ. ნიკიტინი.

პროვინცია

ტექნიკურ მცენარეთა მეურნეობა.

ბევრი ისეთი ტექნიკური მცენარეა, რომლის გაშენებაც ჩვენში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ერთი ამ მცენარეთაგანია (ევკალიპტუს გლობულის, ევკალიპტუს ვინიმალის), ამ მცენარეთ ბევრი მნიშვნელობა აქვთ. ხალხში ხინის ხეს უწოდებენ, თუმცა ხინა ხსენებულ ხიდან არ მზადდება, მაგრამ ციებცხელების უებარი წამალია.

ამ მცენარის მეურნეობა შეიძლება დასავლეთ საქართველოში, უმთავრესათ კი გურია სამეგრელოშიო. აქ ბევრი ჭაობებია და გავრცელებულია თხემლა, რომელიც აჩენს ბევრნაირ ავადმყოფობას მეტადრე კი ციებ ცხელების მალიარიის სახით. თხემლა ყველაზე უფრო გავრცელებულია გურიაში, სადაც ამ ხეს ეზოს მიდამოებში რგავენ, რომლის ჩამოყრილი ფოთოლი ლპება და აჩენს ზემოაღნიშნულ ავათმყოფობას.

ჩვენც რომ თხემლას ნაცვლად ვიწყოთ გაშენება ისეთი ხის, რომელიც ჰაერს სწმენდს და ჭაობებსაც აშრობს, კარგი იქნება.

სახელმწიფო მოვალეა იზრუნოს ხალხის გაჯანსაღებისთვის. სამაზრო ერობები უნდა შეუდგენ ჭაობების ამოშრობას.

რომ ჭაობები გაშრეს, მას მარტო „დრენაჟი" ვერას უშველის, თუ მაზედ არ დავრგეთ ისეთი მცენარე, რომელსაც მიწიდან ამოაქვს სიდამპლე და ჰაერსაც სწმენდს.

საჭიროა შევუდგეთ თხემლის ხის მოსპობას. მის ნაცვლად უნდა მისცეთ ხალხს ისეთი ხე, რომელიც იზრდება ისე ადრე, როგორც თხემლა. მაშინ კი ხალხიც დაგვეთანხმება და ბევრიც გაიმწინდება. ასეთი მცენარე კი არის ზემოთ ნაჩვენები ხე; თუმცა ეს მცენარე ტროპიკულია, მაგრამ აქ დათესილი და აღზრდილი შეეჩვევა აქაურ ჰავას. მაგალითისთვის გვაქვს ბათუმი და ჩაქვის მამული, სადაც ვეებერთელა ხეებია დაზრდილი სულ რაღაც 15—20 წლის განმავლობაში ეს ხე გამოდგება ფიცრათ, შეშათ, წნელათ და სხვა.

ამ ხეს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის მომავალში, რადგან ჰავას გააჯანსაღებს და ისეთი ბევრი მსხვერპლი ციებ ცხელების და მალიარიის აღარ იქნება. გავიხსენოთ ბათუმის მხარე. იქ ისეთი ჭაობები იყო და ისე გავრცელებული მალიარია, რომ უცხო სახელმწიფოებშიც კი იყო გავრცელებული ხმები „ბათუმში ნუ წახვალ, თორემ იქ მალიარია დაგემართებაო". დღეს ყველამ იცის, თუ როგორ იკლო ამ სენმა იქ და თითქმის მთლად მოისპო. როცა ჭაობები გაშრა ევკალიპტუსის ხე იქნა გავრცელებული.

ასე იქნება სხვაგანაც თუ დროიანათ მოვკიდებთ ხელს და ვიწყებთ ამ სასარგებლო მცენარის გაშენებას.

მეურნე პლ. კვიჟიძე.

აწყურში არსდება სამკითხველო ადგილობრივ ხალხს მისი ნივთიერათ სრულიად უზრუნველყოფა არ ძალუძს, ამისთვის მიმართავს ყველა მოქალაქეს, ყველა ქართველს, საზოგადო კულტურულ დაწესებულებებს, რათა ხელი შეუწყონ აწყურელებს ამ საქმეში.

შემოწირულება მიიღება წიგნებით, ჟურნალ გაზეთებით, სურათებით (პოლიტიკურ მოღვაწე ა და მწერლების) აგრეთვე ფულით. შემდეგი მისამართით: ს. აწყური, ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება, სტეფანე გრიგორის ძე ზედგინიძეს.

ქუთაისის საცდელი მინდვრის გამგესაგან

სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო იარაღების სანათხოვროდ შოვნის და შეძენის მსურველთა რაოდენობა თანდათან უფრო და უფრო მატულობს. ბევრსა სჭირდება აგრეთვე თესლეულობის გამოწერა და ისეთი დავალებების სისრულეში მოყვანისათვის ჩემდამი სიტყვიერათ და წერილობით მომართვით არა ერთი მეურნე იწუხებს თავს.

ამ ბოლო დროს უმეტეს შემთხვევაში მათი თხოვნა ვერ კმაყოფილდება ჩემდა სამწუხაროდ და ამნაირად მეურნენი უნაყოფოდ ჰკარგავენ დროს.

რათა შემდეგში ასეთ არა სასიამოვნო შემთხვევებს არ ექნეთ ადგილი, გთხოვთ მომცეთ შეძლება თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო სოფლის მეურნეთ შემდეგი:

ჯერჯერობით მანქანების და თესლეულობის გამოწერა მოუხერხებელია და ამიტომ ასეთი დავალების აღსრულებას საცდელი მინდორი აღარ კისრულობს.

იარაღების გაცემა განათხოვრებით არ შედის საცდელი მუშაობის გეგმაში. ამისდა მიუხედავათ ქუთაისის საცდელი მინდორი ოცდა ოთხი წლის განმავლობაში ყოველ ღონეს ღონობდა გაეცნო მეურნეთათვის გაუმჯობესებული იარაღების შემოღების მნიშვნელობა. ამ მხრივ მან კიდეც მიაღწია მიზანს: დღეს იმ სოფლებში, რომლებიც იმყოფებიან საცდელი მინდვრის მოქმედების ფარგალში, დიდია მოთხოვნილება ზოგიერი გუთნების, ფარცხების, სათესების, მათოხების, სიმინდის საფშვნელის, პურის სალეწის, ნანიავებლის, ხორბლის სარკველის, ბოსტნის სამტვრევის, სათიბის და სხვ. ამ ბოლო დროს ზემოდ დასახელებული იარაღების შეძენას ბევრი მეურნე ცდილობს, აქედან ცხადია, რომ საცდელი მინდვრისაგან მანქანების განათხოვრებამ დაჰკარგა თავისი პირდაპირი მნიშვნელობა. გარდა ამისა, დღეს მას აღარა აქვს საშუალება განაგრძოს მათი დროებით გაცემის საქმე: განათხოვრებული მანქანა საცდელი საქმისთვის აღარ იხმარება და ამიტომ მინდორს არ შეუძლია გაანათხოვროს ის იარაღები, რომელნიც თვითონ საცდელ მინდორსა სჭირდება სამუშაოთ. დანარჩენი იარაღები სხვადასხვა ხელში მუშაობით და სოფლებში ტარებით იმდენად შელახენ, რომ ვეღარ ასრულებენ თავის დანიშნულებას ისე, როგორც ეს საჭიროა, მათი შეკეთება ან ახლებით შეცვლა კი, ჯერჯერობით შეუძლებელია დაწესებულებისთვის.

საცდელი მინდვრის გამგე **ზ. ჯაფარიძე.**

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" მე 273 ნომერში მოთავსებულია ბ. განის „შენიშვნები", რომელშიდაც ავტორი ეხება დამფ. კრებაში შეტანილ შეკითხვას საჩინოს სარაიონო კომისიის შესახებ, იხსენიებს იმასაც, რომ მინისტრმა ამ საქმის გამოძიება და დამნაშავეთა, თუ ასეთები მართლა აღმოჩნდებიან, სასტიკად დასჯა დაგვპირდაო.

მას შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა და ჩვენ დღესაც არ ვიცით გამოძიების შედეგი და მოითხოვს, რომ ბრალდებულებმა დაჩქარებით მოფინონ ნათელი ამ საქმეს.

ბ. განის სურვილი კანონიერია, მაგრამ მისი შენიშვნის შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი: საჩინოს სარაიონო კომისიის მოქმედებაზე საჩივარი მიწათ მოქმედების სამინისტრომ მიიღო 30 ოქტომბერს. სამინისტრომ დაუყონებლივ დეპეშით განკარგულება გასცა, რომ ქუთაისის სამაზრო ერობას სასწრაფოთ გამოეძიებია საქმე და დამნაშავენის წინააღმდეგ სათანადო ზომები მიეღო. ქუთაისის სამაზრო ერობამ სარაიონო კომისია დროებით გადააყენა და გამოძიება დანიშნა. სამინისტროს ხელთ აქვს ამაღლებისა და ვანის თემთა ხმოსნების არა ჩვეულებრივი ყრილობის ოქმები, რომლებიდანაც სჩანს, რომ მთელი განგაში კომისიის უკანონო მოქმედების შესახებ ატეხილი, დაინტერესებულ მემამულეთაგან, რომლებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ხელი შეუშალონ კომისიას მუშაობაში და მამულების ჩამორთმევა არ დაანებონ. რასაკვირველია სამინისტროს შეეძლო მიღებული ცნობები პრესისათვის გადაეცა გამოსაქვეყნებლად, მაგრამ თუ ასე მოიქცა, მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" მე 267 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, სადაც სიტყვა სიტყვით შემდეგი ეწერა: „თფილისის სასამართლო პალატის პროკურორმა მოახსენა იუსტიციის მინისტრს, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ცნობით კვლევა ძიება საჩინოს რაიონის აგრარულ კომისიის ბოროტ მოქმედებაზე მინდობილი აქვს ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგს იმაძეს. ამასთანავე წინადადება მისცა პროკურორს მოახდინოს განკარგულება რათა დაჩქარებულ იქნას ამ საქმის გამოძიება".

აქედან ცხადია შემდეგი: 1) საქმე გამოსაძიებლათ გადაცემული აქვს სასამართლოს გამომძიებელს და უკანასკნელი სიტყვაც მას ეკუთვნის ამ საქმეში, 2) მიწათ-მოქმედების სამინისტრომ და ქუთაისის სამ. ერობამ მასგან დამოკიდებული ზომები თავის დროზე მიიღო და მიღებული მასალების მიხედვით თავისას შეხედულებაც აქვთ ამ საქმის შესახებ, 3) თუ ეს ცნობები ჯერ არ გამოქვეყნებულა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის გამოძიება სასამართლოს არ დაუსრულებია და მაშასადამე გადაუწყვეტელი აზრის საჯაროდ გამოქვეყნება ამ საქმეზე ნაადრევი იყო,

ყოველივე აქ აღნიშნულს დასადასტურებლად რედაქციას ვუდგენ სათანადო მიწერ-მოწერას. *)

მიწათ მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგე: **დ. ჩადუნელი.**

---

*) რედაქციამ აღნიშნული მიწერ-მოწერა მიიღო. რედ.

განცხადებანი

იყიდება

შემთხვევით 80 კვ. საჟ. **მიწა** ვაკეზე, სემინარიის ახლოს. საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: ერმიანსკი ტუპიკში, № 10. (3133—6—1)

ოზურგეთში
ექიმი ს. ვ. აბაშიძე
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობს „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეშხაპუნებით.. კ. სიამაშვილი სახლში.

ექიმი **ა. ლევინშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივე გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი **არუთინოვი.**
დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606" და „914" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

ექიმი **ბ. ი. მირიანაშვილი.**
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი **ნიკოლოზ მახარაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი **ნ. დ. [illegible]**
იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებებით ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12. (თ.—3023)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველ
[illegible]
ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტ
[illegible]
გ. ხაბაძე 9—12 შინ. ვენერ. სიფი
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სი
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქა
სნეულ. და საბებიო
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. სა
ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა სა
„606" და „914" ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგები
სამკურნალოს დირექტორი ვ. გ. ხან
((2937—თ

ექიმი **ა. დ. ძიძავლია**
სიფილისი და ვენერიული ს
ლებანი. შეშხაპუნება „606" და „9
მიღება დილით 9—11, საღამოთი
ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნო
პეტერბურგ № 116 ტელ. 14—38

ექიმი **კ. ტყემელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ,
ფილ. (914 და 606) კანი, მიხაილ
(№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩ
კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5
საათამდე. (292

ექიმი ა. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი
შედეგები (შეშხაპუნება „606" და „9
ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე
გზების სნეულებანი. ავადმყოფ
მიღება ყოველ დღე დილის 8—11
საღამოს 5—8 საათამდე. კვი
[illegible] ქუჩა № 38.

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ
ავადმყოფ ყოველ დღე საღამოს 6
საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა №
[illegible] ლაბორატორიის ახლო,

ექიმი ქალი ო. ბ. [illegible]
პეტერბურგის დოქტორი ქენევის უნი
ვერსიტეტისა და ლეიპციგის მედიკურ
ინსტიტუტის კლინიკებისა. იღებს ყოველ
დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავ
მყოფთ და იძლევა საბებიო [illegible]
ხელოვნური წამლობა (606—914) დილ
10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლ
ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9-

ექიმი [illegible] ძე ცინც
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყ
საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პ
ბანოვის პრ. № 121, ბინა 4. ტე
ფონი 11—06.

ექიმი ქალი **ე. ს. ბებურიშვილი.**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქ
თა და ბებიობის ნაწილებში დი
10—12 საათამდე საღამოს 5—7 საა
მდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა №
(თ. 3065)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნი
ვერსიტეტისა ს. ბ. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა
გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ე
ქტრო-წამლობის კაბინეტში; [illegible]
და წამლობა X სხივებით, დილი
[illegible] და არსენალი, ტვიფით ფილტვ
ბის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყ
ფობისათვის, ღარიბებს უფასოთ
დღე დილის 8—12 საათამდე და
მის 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23,
ლეფონი 7—92.

ექიმი **დ. ა. ჯაჯანიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ
ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის
საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ
№ 64 (საავათმყოფოს ახლოს) ტელ
14—30. (თ.—26

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულ
და სააკუშერო ავადმყოფებს ყო
დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1
ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთია
გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—
(თ. 27

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ „სორაპანი"-ს მიერ
გამოცემული
1920 წ. კედლის— სახალხო— მოძრავი— **კალენდარ**
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. თვეები დალაგებულია ახალ სტილზე. დ
ილუსტრაცია ცინცაძის მიერ. კალენდრებში სრულიად [illegible]
დაბეჭდილია წითელი საღებავით. კარდონი დაბეჭდილია ლილის ფერის
ფერი საღებავით.
მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე. (4150—

III წელი დაარსებ. 1917 წ 10 ივნისი
მოსამზადებელი კურსები და კლასები
გიმნაზიის
პროგრამით დაარსებული ი. მაჩაიძის მიერ. ამზადებენ ბავშვებს საიმპ. მოს
1, 2 კლასი მოზრდილთა სიმწიფის მოწმობა. 3, 4, 5, 6, 7 კლ. მასწავლებ
ჩერქეზიშვილის ქ. 22 სწავლა დილით და საღამოთ. ქართულად და რუსუ
ჩაწერა 9—1 ს.
(3147—1—1) გამგე ი. მ. მაჩაიძე.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
მთავარ სამმართველო
ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ [illegible] შეიძლება მიღ
იქნას დაშვებულ ფასით ხუთი ავათმყოფი (პანსიონერი). დაწვრილებით
ბების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა
ბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალ
უფროს ექიმთან. (2901—14—